საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 23 მაისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი: 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომ. 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] სტრიქონის 5 მანეთი. [illegible] 4 [illegible] განცხადება [illegible] 15X2 სტრიქონის სიგრძე 100 მანეთი. ხელნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა [illegible] ქუჩა № 4 [illegible] ტელეფონი 16—[illegible]

№ 114

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 114

დროებითი ზავი არ ნიშნავს შერიგებას,

არ ნიშნავს მკვიდრ მშვიდობიანობის დამყარებას.

პირიქით, ნამდვილი ზავი მაშინ იქნება, როცა მტერი იგრძნობს, რომ მოწინააღმდეგე ერთსულოვანი და შეუდრეკელია.

ქვრივი [illegible] ჯავახიშვილისა უცხადებს თავის უძვირფასესი ქმრის ნაცნობ მეგობრებს და ნათესავებს, რომ კვირას, 23 მაისს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

კონსტანტინე სოლომონის ძე ჯავახიშვილის

წირვა დაიწყება დილის ათის ნახევარზე, ხოლო პანაშვიდი თორმეტ საათზე. (1663 1—1)

ეკატერინე, ბესარიონ, მიხეილ და [illegible] ყაფრიშვილები, სოფიო და პეტრე ქართუმიძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 23 მაისს ამა წლისა, გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე, დილის 10 საათზე ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულ [illegible]

ივანე იოსების ძე ყაფრიშვილის

სულის მოსახსენებლად (2671 1—1)

რესპუბლიკის ექიმთა პროფ. კავშირის თფილისის განყოფილების

საერთო კრება

შესდგება სამშაბათს მაისის 25-ს საღამოს 7 ნახ. საათზე „ქართველთა საექიმო საზოგადოების“ დარბაზში ([illegible] ქ. № 4 ალექსანდრეს ბაღის ახლოს) დღიური საკითხი: 1) ექიმ [illegible] და თფილისის ჰოსპიტალის ექიმთა კოლეგიის შორის მომხდარი კონფლიქტის განხილვა, 2) მიმდინარე საკითხები. (1664—1—1)

ქართული კლუბი

კვირას, 23 მაისს 1920 წ.

შაქრო საფაროვის

35 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება

I. [illegible] პეპო 3 მოქმედ.

II. [illegible] მეჯლისი [illegible]

მონაწილეობენ: ქ. ჩერქეზიშვილისა, ტ. აბაშიძე, მ. [illegible], გ. [illegible], ბ. ბ. ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, გრიშაშვილი, [illegible], [illegible], [illegible], [illegible]. დასაწყისი 8 ნახ. საათზე. რეჟისორი ვ. აბაშიძე. [illegible] (1655—2—3)

მოსკოვის სახალხო ბანკი

თფილისის განყოფილება.

მიღებულია ავსტრიის ფირმის ცელები 70 და 60 ს. ტ. შვედური ცელები და ნამგლები № 0, № 1 და № 2. საქონელი აწყვია საკუთარ საწყობებში თფილისში და ბათუმში. ნიმუშების ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათ. ყოველ დღე სახალხო ბანკში (ლორის-მელიქოვის ქ., № 9) და საქართ. კოოპერატივთა კავშირში (გლდანის ქ., № 15) საქონელი იყიდება კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. (ნ. 3—2)

განცხადება

ყველა ქარხნის, საზოგადო და სახელმწიფო საწარმოების [illegible] ადმინისტრაციები, რომელთა მუშა-მოსამსახურენი სარგებლობენ მომარაგების სახელმწიფო ფონდით მუშათა მაღაზიიდან,—მოვალენი არიან მიმდინარე წლის 25 მაისამდე წარმოადგინონ მუშათა მაღაზიაში მუშა-მოსამსახურეთა ახალი სიები, რომლების ფორმა გამოცხადებულია შრომის სამინისტროს მიერ.

სიები უნდა იყოს შედგენილი მუშათა მაღაზიის ბლანკებზე. ბლანკის [illegible] 3 მანეთი და შეიძლება მიიღონ შრომის სამინისტროში ყოველ დღე 1—3 საათამდე.

ყალბი ცნობების წარმომდგენელნი სახელმწიფო ფონდიდან პურის და სხვა სანოვაგის მიღების უფლებას დაჰკარგავენ.

შრომის სამინისტროს მუშათა მაღაზია. (ნ. 4—3)

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლეში, სადაც კომიტეტის თავმჯდომარე სერ. [illegible] იძლევა ყოველდღიურ ცნობებს კომიტეტის მუშაობის შესახებ; იგი ღებულობს ფრონტის საჭიროებისათვის შემოწირულ [illegible]. [illegible] კომიტეტის წევრი სასახლეში, კომიტეტის მდივანი დიმ. კალანდარიშვილი და საქმის მწარმოებელი გ. ქიქოძე ღებულობს ყოველდღე შემოწირულებათ. ტელ. 3—37, 6—02. (1642—3—3)

მიხეილ კვესაძის

მომღერალ-მგალობელთა გუნდის გამგეობა სთხოვს ყველა ძველ და ახალ წევრთ გამოცხადნენ უკანასკნელ ვარჯიშობაზედ სამშ. 25 მაისს, 26 მაისს დღესასწაულზე მონაწილეობისათვის.

რუსთაველის პრ. № 17.

გუნდის გამგეობა. (1669—1—1)

მოლაპარაკება დროებით ზავის შესახებ

აზერბეიჯანთან ომის დაწყების პირველ დღეებიდანვე საქართველოს შეიარაღებული ძალები მტრის წინ მიიწევდნენ. მათ სრული შეძლება ჰქონდათ განეგრძოთ თავისი შეტევა და [illegible]. მიუხედავად ამისა, როგორც კი აზერბეიჯანმა სთხოვა [illegible] საომარი მოქმედების შეჩერებაზე და საზავო მოლაპარაკებაზე, ჩვენმა სახელმწიფომ მაშინვე შეაჩერა თავის ჯარებით მტერზე შეტევა და ამით მან ნამდვილი დემონსტრაცია გაუკეთა თავის მშვიდობის მოყვარეობისა, და სისხლის ღვრის სიძულვილისა.

დღეს საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის მოლაპარაკება სწარმოებს დროებით ზავის შესახებ. ჩვენთვის დიდად სასიხარულო და დიდად ბედნიერი იქნება თუ ის სამშვიდობო მოლაპარაკება, რომელიც აზერბეიჯანმა დაიწყო ჩვენთან, მორიგების და მშვიდობიანობის გულწრფელ სურვილით არის ნაკარნახევი და არა რაიმე საიდუმლო [illegible] მოსაზრებით. ჩვენ კიდევ უფრო მოხარულნი ვიქნებით, თუ ეს მოლაპარაკება ნამდვილ ზავით დამთავრდებოდა და საქართველო-აზერბეიჯანს შორის კეთილ-მეზობლობა დამყარდება და ყველა სადავო საკითხები, რომლებიც აუცილებლად აქვთ მეზობელ სახელმწიფოებს, [illegible] კულტურულ საშუალებით იქნება გადაწყვეტილი, როგორც წყდებოდა იმ დროს, როდესაც აზერბეიჯანი ჯერ კიდევ „გაწითლებული“ არ იყო. ამისათვის მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო: „წითელმა“ აზერბეიჯანმა უნდა ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღოს თავდასხმითს მოქმედებაზე, მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს, რომ ასეთი პოლიტიკა [illegible] ყველასა მისთვისაც სახიფათო და დამღუპველი. დღეს-დღეობით აზერბეიჯანი [illegible] ავანტიურისტების სათარეშოდ, იგი ამ ავანტიურისტების ფეხის ხმას აჰყოლია და ჰგონია, რომ მათი იარაღის საშუალებით შეიძლება რამე კაპიტალი თავის მეზობლების ხარჯზე. მაგრამ მან [illegible] ამ [illegible] განზრახვის მწარე ნაყოფი, [illegible], რომ მეზობელი საქართველო [illegible] და [illegible] მიმართ. აზერბეიჯანმა [illegible] უნდა [illegible] გზა.

თუ დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკება ამ [illegible] პოლიტიკის [illegible] გულწრფელ სურვილით არის [illegible], რაც უნდა ბევრი იყოს სადავო საკითხები საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის, მაინც ძნელი არ იქნება შეთანხმება, რადგან საქართველოს მხრით აზერბეიჯანი [illegible] გულწრფელ სურვილს.

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს იმის [illegible], რომ აზერბეიჯანის მხრით სამშვიდობო მოლაპარაკებაში [illegible] გულწრფელ სურვილს. ჩვენ [illegible], რომ იგი [illegible] იმისთანა [illegible] წამოაყენებს საქართველოს, რაც მისთვის [illegible] იქნება, რადგან [illegible] მის [illegible] ინტერესებს. ამ მომენტში უნდა იყოს ჩვენი ხალხი, მან ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება არ არის ზავი, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა. [illegible], რომ მოლაპარაკება შეწყდეს და [illegible]. ამიტომ [illegible] და მტრის შეტევის ხელისა მოლაპარაკების დროს კი არ უნდა [illegible], არამედ უფრო უნდა [illegible]. დღეს ჩვენი ხალხი უნდა საომარ ფეხზე იყოს დაყენებული; მთელი ჩვენი ქვეყანა უნდა [illegible] საომარი ბანაკად. მთელი ჩვენი ყურადღება ფრონტისაკენ უნდა იყოს მიქცეული იმ [illegible], სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა, რომ აზერბეიჯანის მხრიდან საქართველოს აღარ ექნება არავითარი [illegible].

ახალგაზრდობავ, მოსწავლენო, არ დაივიწყოთ, რომ კვირას, 23 მაისს, დილის 10 საათიდან სასახლისაკენ უნდა ისწრაფიდეთ, იქ უნდა მიიტანოთ ფრონტის საჭიროებისათვის თქვენი სახელით გასაგზავნათ პარკი, ჩანთა საჩუქრებით-ურთ: წერილი თქვენგან, თუთუნით, საპონით, პაპიროსებით, თხილით, სპიჩკით და სხვა საჭირო ნივთებით შევსებული. ნუ დააკლებთ თქვენ ალერსს ფრონტს.

საერთაშორისო სოც. კონგრესი ჟენევაში

(საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მიმართვა)

„[illegible] საერთაშორისო სოციალისტური [illegible] კონგრესი შეიკრიბება 31 ივლისს 1920 წ. ჟენევაში, [illegible], Kuc de Carode 50.

ჩვენ ვიწვევთ კონგრესზე ყველა სოციალისტურ და მუშურ პარტიებს, ან ორგანიზაციებს, რომლებიც იღიარებენ შემდეგ ძირითად დებულებებს:

1) მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაცია წარმოების კაპიტალისტური წესის მოსასპობად [illegible] პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობისა და საწარმოო საშუალებათა და გაცვლის საშუალებათა სოციალიზაციის საშუალებით. ეს ნიშნავს კაპიტალისტური წესწყობილების სოციალისტურით, კოლექტივისტურით ან კომუნის წესით შეცვლას.

2) საერთაშორისო გაერთიანება და ბრძოლა [illegible], რომლებიც თვითონ უნდა [illegible]; [illegible] მშვიდობიანობის უზრუნველყოფა შოვინიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზით და აგრეთვე ბრძოლით უზრუნველყოფა იმისა, რათა ყველამ [illegible] მილიტარიზმზე და შეიარაღებათა პოლიტიკაზე.

3) წარმომადგენლობა და დაცვა [illegible] ჩაგრულ ხალხთა და [illegible] ინტერესებისა.

კონგრესის დღის წესრიგი შემდეგის მუხლებისაგან შესდგება:

1) [illegible] პროექტის დამტკიცება;

2) საკითხი ინტერნაციონალის მოღვაწეობის შესახებ.

3) საკითხი პასუხისმგებლობის შესახებ (ომის გამო).

4) საერთო პოლიტიკური საკითხები: ა) ზავი და ხალხთა ლიგა; ბ) დემოკრატია და დიქტატურა; გ) სოციალიზაცია; დ) პოლიტიკური სისტემა [illegible]; ე) მუშათა კანონმდებლობა; ვ) [illegible] პოლიტიკა; ზ) ემიგრაცია და იმიგრაცია; [illegible].

5) მუშათა პრესის მოწყობა.

ჩვენ საჭიროდ ვსცნობთ პირველ ადგილზე დავაყენოთ საკითხი ინტერნაციონალის მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენის აზრით, დღევანდელ მომენტში არ არის უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე საქმე მუშათა მოძრაობის [illegible] და [illegible].

მოღვაწეობის იდეა [illegible] ინტერნაციონალის [illegible] მარქსიდან და [illegible], რომლებიც [illegible] მუშებს მოწოდებით: შეერთდით! მოღვაწეობის იდეა [illegible] ყველა საერთაშორისო კონგრესისათვის [illegible].

ომმა [illegible] შეიტანა სოციალისტურ წრეებში და შესუსტდა მათი ორგანიზებული მუშაობა. ომმა არ მოუსპო წინააღმდეგობანი, პირიქით, [illegible] ჩვენ მოწმენი შევიქენით იმის, რომ პარტიები, რომლებიც ინტერნაციონალის სექციებს წარმოადგენენ, [illegible].

[illegible] ზავის შეკვრის შემდეგ, [illegible] შესაძლებლობა [illegible], ბერნში შეიკრიბნენ (3—10 თებერვალს 1919 წ.) ინტერნაციონალის სექციები, [illegible]. ინტერნაციონალის [illegible] „პერმანენტულ კომისიას“, რომელიც იქნა [illegible] წარმოდგენილი ყველა პარტიების თანხმობით.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის [illegible] კომისიამ დაიწყო თავისი მუშაობა. იგი [illegible], მოიწვია ამ მიზნისთვის ინტერნაციონალის სექციების ორი კონფერენცია: ერთი—20—29 აპრილს ამსტერდამში და მეორე —1—10 აგვისტოს ლუცერნში.

ლუცერნში [illegible] კონგრესი ჟენევაში. ეს [illegible] სექციათა თანხმობით, [illegible] ჩვენი ორგანიზაციის. [illegible] თანხმობით კონგრესი 1920 წ. თებერვალში უნდა შემდგარიყო. [illegible] სოც.-დემოკრატიული პარტიის წინადადებით და აგრეთვე [illegible] კონგრესის მოწვევის ვადა 31 ივლისისათვის გადაიდო. ეს ვადა საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა 1920 წ, 23 მარტს [illegible] კონფერენციის მიერ.

ომმა, რომელმაც [illegible] და პარტიები, და [illegible] მუშათა მოძრაობის ყველა ფრთებს, რომ [illegible]. [illegible] მოქმედებათა მთელი [illegible]. [illegible]; ამ გზით [illegible], რომ საერთაშორისო კონგრესზე [illegible] და [illegible] მნიშვნელობას [illegible]. [illegible], რომ ინტერნაციონალის [illegible] მოქმედებებში [illegible]. [illegible] ინტერნაციონალი [illegible], რომლებიც [illegible] საშუალებით [illegible] მთლიანობა, [illegible] ინტერნაციონალის [illegible] პოლიტიკური [illegible]. [illegible] უნდა [illegible] შესაძლებლობა [illegible], რომლებიც, მათის აზრით, [illegible] მთელ ინტერნაციონალის [illegible]—კოლექტივისტური ან კომუნისტური [illegible]. [illegible], რომლებიც შორის არის [illegible], ჩვენ მივცემთ [illegible] ინტერნაციონალის არსებობისათვის. მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლება მთელი ქვეყნის სოციალისტურ და პროლეტარულ ელემენტების გაერთიანება.

ამის მიხედვით გაიხილავს ჟენევის კონგრესი აგრეთვე ყველა პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხებს, რომლებიც მის წინაშე სდგას.

როგორ [illegible] სოციალისტებმა, რათა [illegible] და განამტკიცონ [illegible], უზრუნველყონ თავიანთ სოციალისტური [illegible]? [illegible] პარტიების გზით,—[illegible] პოლიტიკური დემოკრატიის [illegible] გზით, რომელიც პროლეტარიატის [illegible], თუ უნდა [illegible] დიქტატურის მეთოდები? [illegible] უნდა იქნეს [illegible] სოციალისტური ორგანიზაციის [illegible] შეთანხმებით? როგორი [illegible] სოციალიზაცია, რომელმაც უნდა [illegible] კაპიტალისტური მოგება; როგორი [illegible] უნდა მიიღოს დემოკრატიულ კონტროლმა და [illegible], რაც [illegible] კავშირების, კოოპერატივების, მუშათა [illegible] და [illegible] უნდა განხორციელდეს? [illegible], რომლებიც ჩვენ უნდა განვიხილოთ საერთო კონგრესზე, [illegible] სოციალიზმის პოლიტიკური სისტემაზე.

შემდეგ კონგრესმა უნდა გაიხილოს ინტერნაციონალის [illegible] საერთაშორისო [illegible] შეთანხმებით. კონგრესმა თავისი აზრი უნდა სთქვას მის შესახებ, თუ რა უნდა [illegible] მუშათა კლასმა ამისათვის, რათა [illegible] ხალხთა ლიგას, [illegible] და [illegible]; რა უნდა [illegible] მუშათა კლასმა იმისთვის, რომ უზრუნველყოს საყოველთაო მშვიდობიანობა და ამით [illegible] თავისუფლება. კონგრესმა თავისი აზრი უნდა გამოსთქვას აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიურ [illegible], რომლებიც [illegible], რაც ომმა მოიტანა მათ.

იწვევს რა ინტერნაციონალი ამ [illegible] მნიშვნელობის საკითხების გარჩევას,—იგი [illegible] საკითხი მუშათა მოძრაობის მთლიანობის შესახებ.

[illegible], რომ [illegible] მუშათა მოძრაობის მთლიანობის [illegible] პროლეტარულ კლასიურ ბრძოლის პრინციპების ნიადაგზე და რათა ეს ბრძოლა შეთანხმებული იქნეს საერთაშორისო ფარგლებში; [illegible], რათა [illegible] (დიქტატურა) და [illegible], რაც [illegible], და ამ [illegible], — ჩვენ მოვიწვევთ [illegible], რათა მონაწილეობა მიიღონ ჟენევის კონგრესის მუშაობაში. ჩვენ [illegible] არა მარტო ინტერნაციონალში შემოსულ სექციებს არამედ ყველა სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც [illegible] 30 [illegible].

რათა [illegible]

დღეს

ბოლშევიკების ცნობით გერმანია ჯარებს აგროვებს ზემო-სილეზიაში პოლონელების წინააღმდეგ.

ხალხთა ლიგის აზრით ახლად დადებულ ხელშეკრულებათა რეგისტრაცია უნდა ხდებოდეს ხალხთა ლიგაში, ასეთი საშუალებით ფიქრობენ ფარულ ხელშეკრულებათა თავიდან აცილებას.

გაფიცვის გამო მთავრობის მიერ მიღებული ზომები საფრანგეთის პალატამ მოიწონა.

მობილიზაცია 1894—95 წ. დაბადებულთა რესპუბლიკაში და 1888—1889 დაბადებულთა თფილისში მშვენიერად ჩატარდა. 1888—1889 წლებში დაბადებულთა მობილიზაცია მთელ რესპუბლიკაში სასურველად ტარდება.

გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.

22 მაისი.

21 მაისს აქსტაფის გზა-ტკეცილზე ჩვენი პარლამენტიორები შეხვდენ ადერბეიჯანის პარლამენტიორებს. ადერბეიჯანის პარლამენტიორებმა დროებითი ზავის პირობათ დაუყენეს ჩვენს პარლამენტიორებს ჩვენი ჯარის წითელი ხიდის აქეთ გადმოყვანა. ამ პირობის ასრულება ნიშნავს ჩვენი ჯარის უკან დახევას და მტრის ჯარებისთვის ხელსაყრელი ფაქტიური პოზიციების დათმობას. ამას გარდა, ისტორიას არ ახსოვს იმის მაგალითი, რომ დროებითი ზავის დროს რომელიმე მხარეს თავისი ჯარები უკან წაეყვანოს. ამიტომ ადერბეიჯანის მოთხოვნა კატეგორიულად იქნა უარყოფილი.

ზაქათალის მიმართულებით 19 მაისს მტრის სადარაჯო „პოსტმა“ აქტივობა გამოიჩინა, ამიტომ „პოსტი“ ჩვენმა ნაწილებმა დაიკავა. მოკლულ იქნა 4 კაცი, რამდენიმე დაიჭრა. დანარჩენები გაიქცნენ. ჩვენ დაგვიჭრეს ერთი მოხალისე მხედარი.

გაგრის ფრონტზე მდ. მეხადირისა და პსოუს ხაზი გამოცხადდა სადემარკაციოთ. მოწინააღმდეგის ჯარები მდინარე ასოუს იქით იხევენ.

სხვა მიმართულებით სიწყნარეა.

21 მაისს ხულოში შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ 70 სოფლის წარმომადგენელნი. მიტინგმა ერთხმად დაადგინა მიესალმოს საქართველოს ჯარების აჭარაში შესვლას და გაიგზავნოს დელეგაცია ჩვანის ხეობაში და წინადადება მიეცეს ხალხს შესწყვიტონ ქართველების საწინააღმდეგო გამოსვლები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სოფლები, რომელნიც მიტინგს დაესწრნენ, მათ წინააღმდეგ გაილაშქრებენ იარაღით ხელში.

უკანასკნელისათვის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მიღება,—როტტერდამის კონფერენციამ გადასწყვიტა ნება მისცეს ჯერ კიდევ ინტერნაციონალში არ შემოსულ ორგანიზაციებს, რომლებიც ამას მოისურვებენ, მონაწილეობა მიიღონ დებატებში სათათბირო ხმის უფლებით; ამასთანავე მათ უფლება აქვთ შემდეგ გადასწყვიტონ საკითხი ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ამგვარ მოქმედებას შეუძლია თავი მოუყაროს ერთ მთელში მთელი ქვეყნის მუშათა კლასის ყველა სოციალისტურ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც კი იზიარებენ ჩვენს პრინციპებს.

ასეთ პირობებში, გვგონია, არც ერთ სექციას არ ექნება საბაბი უარი სთქვას დასმულ საკითხების საერთო [illegible] დასახელებულ მიზნით, რათა გადაწყვეტილ იქნეს დასახელებული საკითხები. თუ კი, მიუხედავათ ყოველ გვარ ცდისა, თანხმობა მაინც არ იქნებოდა მიღწეული,—უკიდურეს შემთხვევაში, კონგრესზე წარმოდგენილ თვითეულ მონაწილის პასუხისმგებლობა კი მაინც ნათლად გამოირკვევა დღის სინათლეზე და მთელი ქვეყნის მუშათა წინაშე.

ჩვენ მივაქცევთ თქვენს ყურადღებას კონგრესის რეგლამენტის შემდეგ მუხლებზე:

ა) თვითეულ ნაციონალურ სექციას უფლება აქვს გაგზავნოს კონგრესზე არა ნაკლებ 6 დელეგატისა, მაგრამ დელეგატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ორჯერ გადიდებულ რიცხვს, რომელიც მიმდინარე წელში დააწესა ინტერნაციონალის საბჭომ. ჩვენ მოვაგონებთ, რომ ხმები სექციათა შორის განაწილებულია შემდეგ შკალის თანახმად, რომელიც დროებით დააწესა ბერნის კონფერენციამ:

30 ხმა: გერმანია, საფრანგეთი, შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი.

24 ხმა: იტალია.

15 ხმა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, შვეცია, ჩეხო-სლოვაკია, უკრაინა.

12 ხმა: არგენტინა.

10 ხმა: დანია, ჰოლანდია, უნგრეთი, პოლონეთი, შვეიცარია.

8 ხმა: ფინლანდია, ნორვეგია, სამხრეთ სლავია.

6 ხმა: სამხრეთ აფრიკა, ბულგარია, ისპანია.

4 ხმა: სომხეთი, კანადა, საქართველო, ლიტვა, პალესტინა.

3 ხმა: საბერძნეთი.

2 ხმა: ბოლივია, ჩილი, ესტონია, ირლანდია, ლატვია, პერუ, პორტუგალია, კორეა, რუმინია.

1 ხმა: ლუქსემბურგი.

დელეგატების სახელები, აგრეთვე კონგრესის ხარჯების რაოდენობა, რასაც იკისრებს სექცია, უნდა ეცნობოს ინტერნაციონალის მდივანს არა უგვიანეს ერთი თვისა კონგრესის გახსნამდე, ე. ი. 1920 წ. 1 ივლისამდე. მათ მანდატებს განიხილავს ინტერნაციონალის საბჭო, რომელიც ამ მიზნით შეიკრიბება კონგრესის გახსნამდე და შედეგებს მოახსენებს კონგრესს.

ნაციონალური სექცია არ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს კონგრესზე სხვა ნაციონალურ სექციათა წევრებით.

ინტერნაციონალში ჩარიცხული ნაციონალური სექცია, რომელსაც კონგრესის წინა წლის გადასახადი არ გადაუხდია, არ იქნება დაშვებული კონგრესზე.

იმავე დროს, რა დღესაც კონგრესი შეიკრიბება შესდგება:

ა) პარლამენტის სოციალისტურ და მუშურ ფრაქციების კონფერენცია იმ მიზნით, რათა შექმნილ იქნეს საპარლამენტო სოციალისტურ და მუშურ ფრაქციათა „პერმანენტული კომისია.“ ეს კონფერენცია გამოიმუშავებს კონტაქტის საშუალებას, [illegible] სხვადასხვა სახელმწიფოების საპარლამენტო ფრაქციების მოქმედებათა შორის; ეს მიღწეული იქნება ერთი მეორისათვის ინფორმაციის მიწოდების გზით და საერთო ხასიათის საკითხების ერთად განხილვით. დაბოლოს, კონფერენცია გაითვალისწინებს საერთო ხასიათის ზომებს, რომლებიც მიღებული უნდა იქნენ ყველგან ერთნაირი პირობების დასამყარებლად, ისეთ პირობების, რომლებიც შეთანხმებულნი იქნებიან მუშათა ინტერესებთან.

ბ) პრესის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც განიხილავს საკითხს საერთაშორისო დეპეშათა სააგენტოს დაარსების შესახებ. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ქვეყანაში დროებით დარჩენასთან, მოწესრიგებული იქნება დელეგატებისთვის თავის დროზე (სასტუმროები, პანსიონი).

ეს მოწოდება რეგლამენტის თანახმად უნდა გადაეგზავნოს სოციალისტურ და მუშურ პარტიებს ინტერნაციონალში შემოსულ სექციათა სეკრეტარიატის საშუალებით. სექციების მდივნებს ვთხოვთ გადასცენ ეს მოწოდება თავიანთ ქვეყნებში.

ჩვენ ვთხოვთ სოციალისტურ და მუშურ გაზეთებსა და ჟურნალებს, რაც შეიძლება, ფართოდ გაავრცელონ ეს ცირკულიარი.

ძმური სალამით, მუშურ და სოციალისტურ ინტერნაციონალის მდივანი

კამილ ჰიუისმანსი.

ბრიუსელი, სახალხო სახლი, 10 აპრილი, 1920 წ.

ომი ჯერ არ გათავებულა. ფრონტის დახმარება არ შეამციროთ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 მაისი.

ბოლშევიკური რუსეთი.

იურისტთა რეგისტრაცია.

მოსკოვი. სახალხო კომისართა საბჭომ იმ მიზნით, რომ სათანადოთ გამოიყენოს იურისტთა სპეციალური ცოდნა, გადასწყვიტა მოახდინოს ყველგან რეგისტრაცია უმაღლეს იურიდიულ განათლება მიღებულ პირებისა, რომელნიც წინეთ მსახურობდენ სახაზინო დაწესებულებებში, ან ვექილობას ეწეოდენ. აღრიცხვაში აყვანილი პირები რესპუბლიკის სახაზინო საქმის მიზნისათვის დანიშნული იქნებიან საბჭოთა იუსტიციის სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში, რომელთაც პრაქტიკოსი იურისტები სჭირდებათ.

გერმანია ძალებს აგროვებს.

გერმანია ძალებს აგროვებს ზემო-სილეზიაში; მას მიზნათ აქვს შეებრძოლოს პოლონეთის ჯარებსა და აჯანყებულებს.

რუსი ლტოლვილები პარიზში.

პარიზში მყოფი რუსი ლტოლვილები ცდილობენ აღადგინონ მემარჯვენე-ცენტრი და კადეტთა პარტიის ერთობა მოაწყონ.

ზავი და ფინეთი.

ფინეთის გაზეთები დიდის თანაგრძნობით ეპყრობიან საბჭოთა რუსეთის წინადადებას ზავის მოლაპარაკების დაწყების შესახებ და აცხადებენ, რომ მთელი ფინეთის დემოკრატია ზავისაკენ ილტვის.

პოლონელების შეტევის გამო.

ინგლისის გაზეთები, რომელნიც ჰკიცხავენ საბჭოთა რუსეთში პოლონეთის შეტევას, აცხადებენ, რომ მოკავშირეებს არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა, მოიშორონ და ხალხთა ლიგა ამ ომში უნდა ჩაერიოს.

დეცენტრალიზაციის საკითხი საფრანგეთში.

გათავდა დეცენტრალიზაციის კონგრესი, რომელსაც დაესწრნენ საფრანგეთის ყველა კუთხის და პროფესიის წარმომადგენელნი: დეპუტატები, პროფესორები, ინჟინრები, ვექილები და სხვანი. კონგრესმა პატივი სცა ცნობილ მწერლის და დეცენტრალიზაციის პიონერის ფრედერიკ მისტრალის ხსოვნას. დეპუტატ ფრიბურგმა განაცხადა, რომ დეპუტატთა პალატაში დეცენტრალიზაციის ჯგუფი შესდგება 200 დეპუტატისაგან და მათი სახელით მიესალმება კონგრესს. კონგრესზე წაკითხული საერთო ხასიათის მოხსენებანი ხაზს უსვამდენ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის ინტერესები მოითხოვენ საფრანგეთის დეცენტრალიზაციას. ყველა საფრანგეთის კუთხეს, რომელიც ეთნოგრაფიის და ეკონომიურის მხრით შეადგენენ ერთ ერთეულს, უნდა მიენიჭოს ფართო ადგილობრივი თვითმართველობა. ადგილობრივი საქმეების გადაწყვეტა უნდა გადაეცეს ცენტრალური მთავრობის განკარგულებიდან ადგილობრივ თვითმართველობის კომპეტენციაში. კონგრესმა შენიშნა, [illegible] შეამცირებს სახელმწიფოს ადმინისტრატიულ ხარჯს, შეიტანს სისწრაფეს საქმეების გადაწყვეტაში და დააყენებს საფრანგეთს ეკონომიურად აყვავების გზაზე. დეცენტრალიზაციის შემდეგ საფრანგეთში იქნებიან ავტონომიური ერთეულად შემდეგი კუთხეები: „პროვანსი, ბურგონი, ბრეტონი, შამპანი, ვოსჟი, ვანდეი, ჩრდილოეთის და ლიონის რაიონები და სხვანი.

კონგრესმა გამოსთქვა სურვილი, რომ ადგილობრივ სკოლებში შემოღებულ იქნას პროვანსალის, ბრეტონის და ბასკის ენების სწავლა და დაუყონებლივ განხორციელდეს მართლ-მსაჯულების რეფორმა პროვინციების ადგილობრივ პირობების მიხედვით.

მთავრობის ფინანსიური პოლიტიკა.

სენატში სენატორმა დიბოსტმა შეიტანა შეკითხვა მთავრობის ფინანსიური პოლიტიკაზე. თავის ინტერპელიაციის განხილვის დროს ბ. დიბოსტმა შემდეგი მოსაზრებანი გამოსთქვა: „დღეს საფრანგეთის სახელმწიფო ვალი აღემატება 259 მილლიარდ ფრანკს: ამ ვალს უნდა მიემატოს კიდევ 100 მილლიარდი, რომელიც დახარჯდება სახელმწიფოს დანგრეულ ჩრდილოეთ საფრანგეთის შესაკეთებლად და 80 მილლიარდი ომში მოკლულ ნათესავების და ბრძოლაში დასახიჩრებულ პირების პენსიისათვის.

ამნაირად, სახელმწიფოს ვალი აღწევს 430 მილლიარდ ფრანკს. ეს ჯამი აღემატება საფრანგეთის ღირებულებას, რომლის რაოდენობა, ომის წინ შეფასებით, იყო 350 მილლიარდი ფრანკი. ამ პირობებში როგორ შეუძლია საფრანგეთს თავის ვალების გასწორება? საჭიროა,—სთქვა ბ. დიბოსტმა,—დაარსდეს ინტერნაციონალური კრედიტი, რომლის საშუალებით განაღდებული იქნება ყველა სახელმწიფოს ომის მიერ გამოწვეული ვალი, რომლის რაოდენობა აღემატება 500 მილლიარდ ფრანკს. რომ ეს ვალი დაიფაროს, საჭიროა ყველა მეომარ სახელმწიფოს სიმდიდრის ძალა; ეს სიმდიდრე ომის წინად ფასდებოდა 1,500 მილლიარდ ფრანკად. ეს ინტერნაციონალური სიმდიდრე იქნება ინტერნაციონალური სესხის გარანტია. ამ 4 პროც. ინტერნაციონალური სესხის ამორტიზაცია 99 წლის განმავლობაში მოითხოვს ყოველ წლიურად 20,400,000 ფრანკს. ჩვენს ხელშეკრულობის უმთავრესი შედეგია ის არის, რომ მისმა შემდგენლებმა ვერ გაითვალისწინეს ეს, რომ ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია ფინანსიური საკითხების კეთილ ნიადაგზე დაყენებაზე. ზავმა ფინანსიური საკითხი ვერ გადაწყვიტა. შედეგი ის არის, რომ ქვეყნიერობა დანგრევის და განადგურების გზას დაადგა“.

გაფიცვის შემდეგ.

მარსელში ნავთ-სადგურის მუშებმა გადასწყვიტეს პარასკევიდან მუშაობა დაიწყონ. გემები „ანტილი“ და „ჟანნა-დი არკი“ ზღვაში სრულის ეკიპაჟით გამოვიდენ. ბარტუმ პალატაში მემარცხენე რადიკალ-დემოკრატების სახელით მიმდინარე შეკითხვების გამო შემდეგი რეზოლუცია წარადგინა: პალატა, იწონებს რა მთავრობის განცხადებებსა და მოქმედებას, ენდობა მის რესპუბლიკანურ სიმტკიცეს იმ სინდიკატების უფლებათა თავისუფლად განვითარების საქმეში, რომლებიც გვერდზე არ გადუხვევიან თავისი ლეგალური ინტერესების დაცვაში (დამახინჯებულია) წესრიგის, შრომის თავისუფლების ადმინისტრატიულ დისციპლინისა, მიესალმება [illegible] ნაციის საზოგადოებრივ მუშაკებს, რომლებიც თავის მოვალეობის ერთგულნი დარჩნენ, მადლობას უხდის ყველა მოქალაქეს, რომელიც დაეხმარა მას მიზნების განხორციელებაში და რომელთაც უარი განაცხადეს ყოველგვარ .. (დამახინჯებულია) გადადის მიმდინარე საქმეებზე.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

ხუთშაბათს შესდგა საერთაშორისო სავაჭრო პალატის ორგანიზაციული კომიტეტის პირველი კრება შეერთებულ შტატებში საფრანგეთის ეკონომიური მისიის საპატიო თავმჯდომარე კლემანტელის თავმჯდომარეობით, კლემანტელი მიესალმა უცხოელ დელეგაციებს და აღნიშნა საერთაშორისო სავაჭრო პალატის დიდი მნიშვნელობა სხვადასხვა ნაციის ეკონომიურ ნიადაგზე ერთიერთ გაგებისათვის.

ეს დაწესებულება ნამდვილი საშუალება იქნება მოკავშირეთა ქვეყნების ეკონომიური აღდგენისათვის. ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარემ, ამერიკის მრეწველების, კომერსანტების და ბანკირების მოკავშირეთა ერთობით მოქმედების ხოტ-ბილი დაახასიათა.

საფრანგეთი და ჩეხო-სლოვაკია.

კრეზოს ქარხნების დირექტორმა შნეიდერმა საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ პრაღაში რეფერატი წაიკითხა. დამსწრეთაგანში იყვნენ მთავრობის წევრები, ცნობილი ლიდერები, ფინანსისტები, მხატვარი მუჰა [illegible] საფრანგეთს და ჩეხო-სლოვაკიას საერთო ინტერესები აქვთ და ამიტომ მათ, სასურველ თანამშრომლობის მიზნით მჭიდრო კავშირი უნდა შეკრან. რეფერენტმა განაცხადა, რომ მან გადაწყვიტა ჩეხო-სლოვაკიაში მადნის, მეტალურგიის და მექანიკურ სამრეწველოებს ენერგიულად ხელი შეუწყოს, რათა ამგვარად ორივე მხარის სიმპატიამ პრაქტიკული გამოხატულება მიიღოს კომერციული დამოკიდებულებაში, რომელიც პილზენის, ოსტრავის და ტეშენის ოლქის ქარხნებში მუშაობით გამტკიცდება.

ბონარლოუმ თემთა პალატაში სპას კონფერენციის შესახებ განაცხადა: რასაკვირველია, ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიის რეპარაციები და აქედან გამომდინარე ზარალის ანაზღაურება, რომელიც მას მოეთხოვება, გადამეტებულია, მაგრამ ამ ჟამად ლაპარაკი გადამეტების შესახებ სულ სხვა აზრით, ინგლისის მთავრობის პოლიტიკაში სრულიად არ შედის, რომ იმ ერთა ბედებზე, რომელნიც ომისაგან დაზარალებული და განადგურებულია, გადაიტანონ მთელი სიმძიმე, რომლის პასუხის მგებელიც სხვა არის. ჩვენ არა გვაქვს სურვილი გერმანიას იმაზე მეტი მოვსთხოვოთ, რაც მას შეუძლია გადაიხადოს, მაგრამ ამ ომს მართლაც საკვირველი დამოკიდებულება ექნებოდა, რომ გამარჯვებული ერების ამ ფინანსიური მდგომარეობიდან გამოსვლა უფრო ძნელი ყოფილიყო, ვიდრე დამარცხებულებისა.

ლიონის რადიო სადგურის ცნობა.

(ინგლისურ ენაზე).

ხალხთა ლიგა.

გაზეთები გადმოგვცემენ: რომში ერთა ლიგის საბჭო იხილავს საკითხს, რომ ყველა ახლად დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაცია ხალხთა ლიგაში ხდებოდეს. ეს ითვლება იმის საუკეთესო საშუალებათ, რომ ფარული ხელშეკრულების დადება თავიდან აცილებული იქნეს.

26 მაისისათვის

26 მაისს არ იქნება დაკეტილი სასადილოები, რესტორანები და სხვა სურსათ სანოვაგით მოვაჭრე დუქნები.

სტადიონთან გამართულ იქნება სავაჭრო ფანჩატურები ხილეულის გასასყიდათ.

დამზადდა სადღესასწაულო ნიშნები და სურათები მთავრობისა, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და დამოუკიდებლობის აქტის მინიატიურები, რომლებიც გაიყიდება 26 მაისს; ნიშნები სამ სამ მან., ხოლო სურათები და აქტები—ხუთ-ხუთ მანეთად.

ხელოვნების კომისიასთან არსებული ფრონტის სადღესასწაულო კომისია შეაგროვებს ნივთიერად და აგროვებს მრავალ შეწირულებებს დღესასწაულისთვის ფრონტზე გასაგზავნად.

დღეს, დილის 11 საათზე სასახლეში, მოწვეულია 26 მაისის სადღესასწაულო კომისიის ყველა წევრი. დასწრება აუცილებელია.

საყურადღებოდ ცნობები შემდეგი:

26 მაისს, დილის 7 საათზე ქალაქს საყვირით დაივლიან მეზურნე დღესასწაულის საცნობათ. 9 საათისთვის დღესასწაულში მონაწილენი თავს იყრიან თავისუფლების მოედანზე შემდეგი წესით:

სოლოლაკის ქუჩით ჩამოდგებიან მეჯარდენი, ბოი სკაუტები და მოსწავლე ახალგაზრდობა. პუშკინის ქუჩით პროფესიონალური კავშირები. სიონის ქუჩით ამქრები. ვერიამინოვის ქუჩით—კოოპერატივები და სხვა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ორგანიზაციები. [illegible] ქუჩით—ქალთა, მასწავლებელთა და სხვა ინტელიგენტური პროფესიის წარმომადგენელნი. ლორის-მელიქოვის ქუჩით სასოფლო მეურნეობის და ვაჭრობა მრეწველობის წარმომადგენელნი.

ზუსტად 10 საათზე არსენალიდან გაისვრიან შვიდჯერ ზარბაზანს და შემდეგ ამისა თავისუფლების მოედნიდან დაიძვრის პროცესია შემდეგი წესით: ა) მეჯარდენი, ბ) ბოი-სკაუტები, გ) მოსწავლე ახალგაზრდობა, დ) ქალთა მასწავლებელთა და სხვა ინტელიგენტური პროფესიის წარმომადგენელნი, ე) პროფესიონალური კავშირები, ვ) კოოპერატივები და სხვა სოციალურ ეკონომიური ხასიათის საზოგადოებანი, ზ) ამქრები, თ) სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობა მრეწველობის წარმომადგენელნი.

შენიშვნა: 1) თვითეულ ორგანიზაციის წინ წაუძღვება თავისი მორთული ავტომობილი და დროშები, ორკესტრი და ხოროები.

შენიშვნა: 2) სასტიკად დაცულ უნდა იქმნას შემდეგი წესი: რიგი-რიგს უნდა მისდევდეს უახლოეს სამი ნაბიჯის დაშორებით, ხოლო მორთული ავტომობილები, ორკესტრები და ხოროები სამ-სამი სტეპენით უნდა იყვნენ დაცილებულნი, როგორც წინ, ისე უკან მიმავალთ.

მ) პროცესია გაივლის თავისუფლების მოედნიდან დამფუძნებელი კრების ქუჩით, რუსთაველის პროსპექტით, 26 მაისის ქუჩით, წყნეთის ქუჩით და გაემართება პირდაპირ ვაკის პროსპექტით სტადიონისაკენ, სადაც დღესასწაული დაიწყება სრულ 12 საათზე ეროვნული ჰიმნით.

სტადიონზე თვითეულ დღესასწაულში მონაწილე ორგანიზაციისთვის წინასწარ დანიშნულია ადგილი, რომლის შესახებ ცნობა დღესასწაულის გამგეობისაგან უნდა მიიღოს წინასწარ, არა უგვიანეს 25 მაისის 12 საათისა თვითონ ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

ყველა ნაწევრები ქუჩა, სადაც კორტეჟი გაივლის შეკრული იქნება და არავის (არც კერძო პირებს და არც რომელიმე ორგანიზაციას) არა აქვს უფლება გზაში შეუერთდენ პროცესიას. ყველანი წინასწარ დანიშნულ საათზე უნდა გამოცხადდენ თავისუფლების მოედანზე და იქ დაიჭირონ თავიანთი ადგილი, ან შეუერთდენ რომელიმე ორგანიზაციასთან.

დღესასწაულის პროგრამა ცალკე გამოცხადდება.

სადღესასწაულო კომისია.

ვინც ფრონტზე აპირებს ან მიემგზავრება, უნდა შემოიაროს, რათა წაიღოს გაზეთები და საჩუქრები მეომართათვის,

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, სასახლეში, 1 საათზე სასახლეში და არა ქართულ კლუბში, დანიშნულია კრება მთავარ კომიტეტისა და ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელთა, კერძო პირთა, რომელთა შორისაც უნდა განაწილდეს შრომა 29 და 30 მაისის ფრონტის დღეების მოსაწყობათ. ყველა მსურველი უნდა დაესწროს, საქმე ბევრია.

◆ მომარაგების სამინისტრომ მიიღო ფოთში ორი გემი ხორბლით: ერთი ამერიკაში შეძენილი, მეორე—იტალიაში. სულ სამასი ათასი ფუთი. ხორბლის გადმოტვირთვას უკვე შეუდგნენ.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა ერობებს და ქალაქებს, რომ თავის ზედამხედველობის ქვეშ მიიღონ ყველა ხასიათის [illegible]. მიიღონ ზომები უძველეს ძეგლების, ციხეების შესაკეთებლად და, რომ სამინისტროს ცნობები გამოუგზავნონ იმის შესახებ, თუ რა და რა ისტორიული განძების გადმოტანა შეიძლება თფილისში ეროვნულ მუზეუმისთვის.

◆ ორშაბათს, 24 მაისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა თვითმართველობის შენობაში.

◆ „დედათა და ბავშვთა თავდაცვის საზოგადოების“ საზოგადო კრება დანიშნულია 23 მაისს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, დილის 10 საათზე. რადგანაც მეტად საყურადღებო კითხვები არის გასარჩევი, სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ კრებას.

◆ „მცირე წრის“ სურათების მესამე გამოფენა გაიხსნება დღეს 1 ს. (გრიბ. ქ. სახ. არზრუნისა). მონაწილეობენ მხატვართა შემდეგი თანამშრომლენი მცირე წრისა და აგრეთვე მემარცხენეთა ჯგუფი.

◆ საკვები პუნქტი შინდისში. თანახმად რესპუბლიკის ჯარის მთავარსარდლის წინადადებისა, ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის აღმასრულებელმა ბიურომ ამა მაისის 22-ის თავის სხდომაზე დაადგინა: დაევალოს სამეურნეო განყოფილებას დაუყოვნებლივ გახსნას ჯარის-კაცებისათვის საკვები პუნქტი სოფ. შინდისში, რომელიც რკინის გზის ლიანდაგს დაშორებულია 27 ვერსით, ხოლო პუნქტის სანიტარული მეთვალყურეობა დაევალოს სანიტარიო განყოფილების გამგეს ექიმს ვ. კაკალიშვილს.

◆ მუშათა ახალშენები. 24 მაისს, დილის 10 საათზე მიწათ მოქმედების სამინისტროში დანიშნულია თათბირი ქ. თფილისის მიდამოებში მუშათა ახალშენების მოწყობის შესახებ. თფილისის ქალაქის გამგეობამ ამ თათბირზე თავის წარმომადგენლად დანიშნა გამგეობის წევრი გ. მაჭავარიანი.

◆ ნაკადული. რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადულის“ მეორე ნომერი. მცირე წლოვანთა ნომერში (6) მოთავსებულია ლექსები გ. რუხაძის, ა. მღვიმელის, დ. [illegible] მოთხრობა და სხვა. მოზრდილთა ნომერში მოთავსებულია ლექსი მიმქრალის, დ. კასრაძის მოთხრობა, ის. [illegible] ლექსი. მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“. დ. კრემერის წერილი და სხ. ორივე ჟურნალი კარგად არის დასურათებული. დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე.

◆ ტელეგრაფის მავთულებს წყვეტენ. შინ. საქმ. სამინისტროს რკ. გზის მილიციის უფროსმა აუწყა, რომ რკ. გზის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი ტელეგრაფის მავთულებს სწყვეტენ. ამის გამო სამინისტრომ ბრძანება გასცა, რათა სასტიკი ზომები იქნას მიღებული ასეთი მოვლენის წინააღმდეგ და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ.

◆ „ეშმაკის მათრახის“ № 27, ნაცვლად მაისის 23-სა გამოვა ოთხშაბათს, მაისის 26 ს. ეს ნომერი შედგენილია სახელდობრ დამოუკიდებლობის დღისათვის. შინაარსი: მოგონება—[illegible]; დიდ წერილი [illegible]—ეშმაკისა: [illegible]—ძი-სა. შემკულ[illegible] ლექსები. კარიკატურები: ორი წლისთავი. [illegible]. დაბრუნებული [illegible] საქართველო. მოსაზრენე ადერბეიჯანი. სომხეთის მანდატი. დაბრუნებული და სხვ.

◆ მუშათა ცენტრალურ კლუბში (მელიქიშვილის პრ. № 128), კლუბის გამგეობამ დაარსა ქართული დრამატიული მუდმივი წრე, რომლისათვის საჭირონი არიან გამოცდილი სცენის მოყვარენი, როგორც ქალი, ისე ვაჟი. ვისაც სურვილი აქვს მუშაობისა, სთხოვენ გამოცხადდნენ ჩასაწერად კლუბის კანცელარიაში ყოველ დღე, საღ. 7—8 ს.

◆ მუშათა ცენტრ. კლუბში დანიშნული წარმოდგენა, ხუთშაბათს, 20 მაისისათვის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა კავშირის დახმარების კასის ფონდის სასარგებლოთ გადაიდო ხუთშაბათს, 27 მაისისათვის. არსებული ბილეთები გამოდგება იმ დღეს.

◆ „დედათა და ბავშვთა დამცველი საზოგადოების“ გამგეობამ მიიღო დანიშნულის განყოფილებიდან შემდეგი დეპეშა: „დანიშნულის განყოფილება აუწყებს [illegible] საზოგადოების გამგეობას სახაზინო სახლის გახსნას და გაწყობს, რომ ასეთი თქვენი ნაბიჯი

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲝᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲔᲑᲘ

საჭიროა რესპუბლიკის ერობათა კავშირის კომიტეტისათვის. ქართულის ცოდნა სასურველია მაგრამ არა სავალდებულო. მისამართი პირადათ ან წერილობით რუსთაველის პროსპექტი, № 24.

(ნ. 2—1)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციებს!

პარტიულ ორგანიზაციათა თათბირზე 26 მარტს დადგენილ იქნა ყრილობის მაისში მოწვევა. სხვა და სხვა გარემოებათა გამო ეს არ მოხერხდა.

შექმნილი მდგომარეობა გვავალებს ყრილობის დაჩქარებით მოწვევას. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობა მოიწვიოს 6 ივნისს 12 საათზე ქ. თფილისში.

ვაცნობებთ რა ამ დადგენილებას პარტიულ ორგანიზაციებს, ვთხოვთ მიიღონ შესაფერი ზომები, რომ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ მათ მიერ არჩეული დელეგატები ცენტრალური კომიტეტის ბინაზე.

ცენტრალური კომიტეტი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

გამოიწვევს ფილიალების მოქმედებას და ასეთი დაწესებულებებით მოიფინება ჩვენი რესპუბლიკის პროვინციები, რაც ხელს შეუწყობს იმ დიდი მიზნის განხორციელებას, რომელსაც დასახული აქვს საზოგადოებას.

◆ აგრონომიულ ლიტერატურის გამოცემა. სრულიად საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი ამზადებს სასოფლო სამეურნეო ლიტერატურის გამოცემას. საჭირო საკითხების და ავტორების გამოსარკვევად, 18 ამა მაისს შესდგა აგრონომების და სპეციალისტთა ჯგუფის კრება. კრებამ გადასწყვიტა საგანგებო სარედაქციო კომისიის დაარსება, რომელიც ამოირჩევს როგორც გადმოსათარგმნელად საჭირო თხზულებებს, ისე ორიგინალურ ნაწარმოების ავტორებს. კომისია დროებით ვიდრე განახლდებოდეს საქ. სას. სამ. საზოგადოების მოქმედება, იმუშავებს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირთან და შესდგება ახალგაზრდა აგრონომებისა და სპეციალისტებთაგან.

◆ ნაძალადევის ახალი კლუბის შენობაში ორშაბათს, 24 მაისს, საღ. 5 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პარ. მიქელი რაიონის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: პარტიულ ყრილობაზე დელეგატების არჩევა. რკინის გზების სახელოსნო კომიტეტის და დუმის, მოვაჭრე სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების პროფ. კავშირის ს. დ. ფრაქციის წარმომადგენლების მოხსენება. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

◆ მუშათა ცენტრალურ კლუბში, ორშაბათს, 24 მაისს გაიმართება დიდი სადღესასწაულო სხდომა, ცნობილ საზოგადო მწერლის და მომღერლის ა. შიხას 50 წლის აღსანიშნავათ.

◆ პროფესიონალურ კავშირების საკრებულომ დაადგინა მიმართოს კავშირებს წინადადებით, რათა მათ თავისუფალი თანხები შეიტანონ საქართველოს კოოპერატიულ ბანკში.

◆ ქალაქის ხაზინათა განყოფილება არიგებს ტექნიკურ საჭიროებისათვის ბენზინს, სპირტს, ზეთს, შავ ნავთს და ნავთს სათბობ მასალის განმანაწილებელ კომიტეტის მიერ შემუშავებული ნორმით. ამიტომ ყველა იმ დაწესებულებებმა და წარმოებებმა, რომლებთაც აქამდის არ აქვთ დამტკიცებული ნორმა აღნიშნულ მასალის საჭიროებისა, უნდა წარმოადგინონ დაწვრილებითი ცნობები მათთვის საჭირო სათბობ მასალის რაოდენობის შესახებ, სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროში. ქალაქთა კავშირის, ერობათა კავშირის, ქალაქის თვითმმართველობის ან და სახელმწიფო სათო განყოფილებაზე და მექარხნეთა საზოგადოებაზე მოწერილი დაწესებულებანი და წარმოებანი მოვალენი არიან წარმოადგინონ სათანადო ცნობები ზემოხსენებულ დაწესებულებების საშუალებით.

◆ გორის ფონდი. მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელთაგან რედაქციამ მიიღო 1680 მანეთი.

— თინიომ გასილიძე ხვინძემ, ლუკა ლორიამ და ტასია კობიძის ახულმა თითო თუმანი ჩვენი [illegible] ფრონტზე მყოფ ჯარის კაცებს დასარიგებლად.

◆ სახალხო უნივერსიტეტში დღეს, 23 მაისს, ლექციებს წაიკითხავენ მე 5 განყოფილებაში (ვ. ნინოს ქ.) 1) დოლიძისა—საქართვ. ისტორია; მ. აბრამიშვილი—ქართული მწერლობა.

მე-8 განყოფილებაში (ჩუღურეთში) 1) გ. კოტეტიშვილი—სოციოლოგია; 2) აკ. ტუმბალაძე—მეცნიერება სახელმწიფოზე.

ხვალ, ორშაბათს, 24 მაისს, ავლაბარში (მე-8 განყოფილება): გ. კოტეტიშვილი—სოციოლოგია; აკ. ტუმბალაძე—მეცნიერება სახელმწიფოზე, ლექციები დაიწყება საღ. 7 ს.

კრებები.

ორშაბათს, 24 მაისს, საღ. 2 საათზე, ადგილობრივ აქც. სახ. მუშების პროფ. კავშირის ბინაზე დანიშნულია ამავე საზოგადოების მუშათა და მოსამსახურეთა მომხმარებელთა საზოგადოების წევრთა საერთო კრება. თუ კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა, მეორე კრება დაინიშნება მეორე დღეს, 25 მაისს იმავე დროს, და მიუხედავათ დამსწრეთა რაოდენობისა, ჩაითვლება კანონიერად. დღის წესრიგს შეადგენენ კითხვები: 1) მოხსენება კოოპერატივის მდგომარეობაზე, 2) ანგარიშების დამტკიცება, 3) მიმდინარე საქმეები.

— კვირას, 23 მაისს, სახელმწიფო კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ., მიხეილის საავადმყოფოს ახლოს) დილის 11 ს. შესდგება მკერავ ქალთა პროფესიონალური კავშირის მეორე საზოგადო კრება. დღის წესრიგი: მოხსენება მომენტზე, გამგეობის მოხსენება, კასის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, პურის საკითხი, პროფ. კავშირ „პროლეტარის ხმის"-თან გაერთიანების საკითხი. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

— დღეს, საღამოს 5 ს., ბიუროს ბინაზე დანიშნულია სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სხდომა.

პროვინციის ქრონიკა

ბორჩალოს მაზრის საქ. ს. დ. მ. პ. კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს რ. გ. რამიშვილი, ამხანაგად ალ. ასლამაზიშვილი, ხაზინადრად რ. ა. რამიშვილი, მდივნად ამხ. გ. ჰერტეთი.

— ბორჩალოს სამაზრო ერობამ დაითხოვა სამსახურიდან მაზრის მილიციის უფროსი დ. დადიანი ბოროტ მოქმედების გამო. რამდენიმე საქმე სისხლის სამართლის მისაცემად გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მის ადგილას დაინიშნა ბ. ოქრომაშვილი.

ს. ხოჭორაურმა (ჩხარის რაიონი) 18 მაისს ადგილობრივ გვარდიის ხელმძღვანელს ლევან გამყრელიძეს შეტაკება მოუხდა ავაზაკებთან—ბარბაქაძეებთან და უკლებასთან. ავაზაკები დაჭრილი იქნენ, მაგრამ მაინც მოახერხეს გაქცევა. 18 მაისს ავაზაკები შეიპყრეს სოფ. სახარაში ნეზიგრიძის სახლში.

ზესტაფონი. ზესტაფონის გაქართველობის ყრილობამ 18 მაისს ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა ოჯახების დასახმარებლად გადადო ნახევარი მილიონი მანეთი.

დუშეთი. დუშეთის სამაზრო ს. დ. კონფერენციამ გაუგზავნა სახ. გვარდიის მთავარ შტაბს ს. დ. ცეკას, მთავრობის თავმჯდომარეს და პროფ. კავშირთა ცენტრს შემდეგი დეპეშა: „დღევანდელ რთულ და მძიმე მომენტში, როდესაც ჩვენს რესპუბლიკას ირგვლივ მტრები ახვევია, რომლებიც ლამობენ რევოლიუციის მონაპოვართა შემუსვრას, საქართველოს დამოუკიდებლობის განადგურებას, დემოკრატიის იდეების სისხლში ჩახრჩობას, ჩვენი ენერგია გაათკეცებული, გამსჭვალული საერთაშორისო იდეებით, ბრძოლის ხალისით, მხნედ და გაბედულად ვემუშავებით, ვემსახურებით იმ წმინდა საქმეს, რომელიც დემოკრატიის ბატონობით გვეახლოვებს შრომის განთავისუფლებას სოციალიზმს—დაუნდობელი ბრძოლა ბურჟუაზიას,—ცივილიზაციის, სოციალიზმის მტრებს—[illegible] რუსულ ბლოკს, გაუმარჯოს რევოლიუციონურ თავდაცვას, გაუმარჯოს დემოკრატიის ერთსულოვან ბრძოლას, მის სისხლსა და ხორცს სახალხო გვარდიას და ჯარს, გაუმარჯოს სოციალიზმს".

ომი სტოვებს დასახიჩრებულთა, დაჭრილთა და ქვრივ-ობოლთა, რომელთაც პატრონობა უნდა.

შრომის სამინისტროსაგან

(ცირკულიარი)

ყველა კომისრებს, შრომის სამინისტროს რწმუნებულთ, მუშათა ორგანიზაციებს, წარმოებათა პატრონებს, მომრიგებელ კამერებს.

შრომის სამინისტრო ამით აცხადებს, რომ თანახმად 14 იანვრის 1918 წლის დადგენილებისა, ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან არა თავიანთი მიზეზით, მიიღებენ გარდა სალიკვიდაციო ფულისა, აგრეთვე ორი კვირისას უქმეთ მათთვის დათხოვნა არ გამოუცხადებიათ ორი კვირით ადრე.

ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ 14 იანვრის 1918 წ. დადგენილებით ორი კვირის სამუშაო ხელფასი ვრცელდება მხოლოდ წარმოებებზე, რაც შეეხება დაწესებულებებს, მათზე ეს დადგენილება უნდა ვრცელდებოდეს, მხოლოდ უკანასკნელთა თანხმობით.

შრომის მინისტრის ამხანაგი
ა. ბახტაძე.

ალმზრდელნო, მასწავლებელნო, გაუმართეთ თქვენს მოწაფეთ დიადი მნიშვნელობა სამშობლოს დამცველთადმი პატივისცემისა. არც ერთი მოწაფე არ დარჩეს, რომელმაც შეძლებისდა გვარად საჩუქარი არ უძღვნას ფრონტს. კვირას, 23 მაისს, სასახლეში მიიღებენ მათგან საჩუქრებს.

გენერალური შტაბისაგან

1) თანახმად მთავრობის ამა წლის 27 აპრილის დადგენილებისა, მობილიზაციით გაწვეულ უნდა იქნან რესპუბლიკის ყველა 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში დაბადებულნი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცნი.

2) ვინაიდან სათადარიგო ოფიცერთა მობილიზაციის გაწვევის განცხადებაში ნაჩვენები არ იყო აღნიშნული წლოვანებანი და მაზრები გასაწვევ ოფიცერთა, ცხადდება სახელმძღვანელოთ შემდეგი:

1) გაწვევა ეხება მხოლოდ ქ. თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის მიერ აღრიცხვაზე მიღებულ რესპუბლიკის ქვეშევრდომ ყველა ქვეითი ჯარის სათადარიგო არა უფროს 45 წლისა ოფიცერთ, გარდა რუსის ქვეშევრდომისა.

2) გაწვევა ეხება აგრეთვე ზემოაღნიშნულ კატეგორიის ქვეითი ჯარის იმ სათადარიგო ოფიცერთ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო თუმცა არ იყვნენ აღრიცხვაზე მიღებულნი, მაგრამ ცხოვრობენ ქ. თბილისში ამა წლის 17 თებერვლიდან.

შენიშვნა: ყველა ამ პუნქტში აღნიშნული ის ოფიცრები, რომლებიც მობილიზაციის დროზე არ გამოცხადდებიან, გაიწვევიან ჯარში, როგორც რიგის ჯარისკაცები, თანახმად სამხედრო და შინაგან საქმეთა უწყებათადმი 1919 წლის 28 ნოემბრის № 215 მთავრობის ბრძანებისა, თუ გაწვევა მოუწევს მათი წლოვანების ჯარის-კაცებს.

ბ) ქვეშევრდომობის საკითხის გარჩევის დროს ყველა სამხედრო აღრიცხვის ნაწილთა უფროსებს ევალებათ იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეობის კანონით, რომელიც გამოცხადებულია მთავრობის მოამბე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1919 წლის 6 ივნისის 122 ნომერში და სათანადო საკონსულოების მიერ გაცემულ პასპორტებით. თუ ეს პასპორტები კანონიერი წესით გატარებულია შესაფერ კომისარიატების რეგისტრაციაში. შეუძლებელია ხელმძღვანელობა სხვადასხვა ნაციონალური საბჭოთა მიერ გაცემულ მოწმობებით, ვინაიდან ამ საბჭოებს არ აქვთ ასეთი მოწმობების გაცემის უფლება.

ფრონტისათვის.

რკინის გზების ცენტრალურმა გამგეობამ განიხილა რა 18 მაისის სხდომაზე ფრონტის დახმარების საკითხი, გადადვა 50 ათასი მანეთი და 50 ფუთი თუთუნი ფრონტის საჭიროებისათვის, დაავალა კულტურ-განათლების კომისიას გაზეთების ფრონტისათვის მიწოდება. კულტურულმა კომისიამ უკვე გამოიწერა ყოველ-დღიურად 230 ცალი გაზეთი. ამათში 200 გაეგზავნება ფრონტს და 30 კი ადგილობრივ რკინის გზის საავადმყოფოში მოთავსებულ გვარდიელებს. გაზეთების თავის დროზე მიწოდება თავს იდვა ვაგზლის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბმა.

ფრონტის დღის მომწყობ მთავარ კომისიაში გაგზავნილ იქმნა გაწვევამდელთაგან, გამგეობის წევრი სტ. ფარცხალაძე.

—

ხაშმი. უკვე შეკრებით ფრონტისთვის საჩუქრები. ხალხი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს საჩუქრების შეკრებაში. პირველი პარტია ფრონტზე გაიგზავნება 23 მაისს. გარდამ ხუროძე, შანტურია.

—

ოქრომჭედლების, ოსტატების, მეხათების და გრავიორების ცეხების პროფესიონალური კავშირების გამგეობებმა გადასწყვიტეს 24 და 25 მაისს თავის წევრებს შორის მოაგროვონ შემოწირულება ფრონტზე დაჭრილ მეომრების და მათი ოჯახების სასარგებლოდ. ფულის შემკრებთ თან უნდა იქონიონ კავშირის საგანგებო მოწმობა. გამგეობა ატყობინებს რა თავის წევრებს, იმედს გამოსთქვამს, რომ კავშირის ყველა წევრები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ და თავიანთ მოვალეობას მოიხდიან დაჭრილ მეომრების წინაშე.

—

თბილისის მაზრის ერობა [illegible] ერობის გამგეობის დადგენილებით ა. წ. 21 მაისიდან გადადებულია სახურსათო განყოფილების განკარგულებაში 20 000 მან., რომლითაც განყოფილება შეიძენს სხვადასხვა საჩუქრებს აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფ მებრძოლ მამულიშვილთათვის გასაგზავნათ.

—

ფრონტის სასარგებლოთ შესწირეს: 1) არქ. ნ. მილოვმა—50,000 მ. 2) მიხ. არამიანცმა—25,000 მ., 3) მ. ხაჩატურიანცმა და ამხ.—25 000 მან., 4) ა. დ. აფრიკიანმა—25,000 მან., 5) მაილოვმა შვილებით—50,000 მან., 6) არ. ბოდახაროვმა—15,000 მან., 7) ძმებ იუზბაშევმა ხან საგინოვმა—25,000 მან. 8) ყორღანოვმა და ამხ.—15,000 მან., 9) კავკასიის ლამბადევმა ხან მან—15,000 მან.,

—

23 მაისს დილის 10 საათზე სასახლეში მოსწავლე ახალგაზრდობისგან მიიღებენ პარკებს საჩუქრებით.

—

ფრონტის დღის მომწყობმა მთავარმა კომიტეტმა მიიღო კაზიევის, კარლინსკის და თაიროვის საპნის ქარხნებიდან დიდი ძალი საპონი.

ამავე კომიტეტმა მიიღო განცხადებანი:

საქართველოს ცენტრი ბანკის და სავაჭრო ბანკის ინიციატივით საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან დაარსდა ვაჭარ-მრეწველთა მთავარი კომიტეტი, რომელმაც თავს იდვა ვაჭარ-მრეწველთა შორის ფულის და ნივთების მოგროვება ფრონტისათვის. მთავარმა კომიტეტმა მთელი ქალაქი 18 რაიონათ დაჰყო და სარაიონო კომიტეტები აირჩია. გარდა ამ კომიტეტის რწმუნებულნი ვ. ა. ტერ-ზახაროვი, ნ. ყ. თავაგურიძე და ი. მ. ლორთქიფანიძე უკვე შეუდგნენ ბანკებში და საბანკო კანტორებში ფულის შეგროვებას.

დღეს, შაბათს, მაისის 21 და ზეგ ორშაბათს 23 მაისს დაიწყება ფულის და ნივთების შეგროვება თბილისის ყველა სარაიონო კომიტეტების მიერ.

ვაჭარ-მრეწველთაგან საჩუქრები ფრონტებზე გაიგზავნება 26 მაისს, ამ საჩუქრებს წაიღებს ფრონტზე ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელნი, რომელნიც პირადათ დაურიგებენ მეომრებს საჩუქრებს. ვაჭარ-მრეწველთა მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმში არიან: პალატის თავმჯდომარე დ. გ. ადუაში, ცენტრობანკის თავმჯდომარე პ. ა. გოთუა და ვაჭარ მრეწველთა მამასახლისი არ. მილოვი. ნივთებით შემოწირულებათა მთავარი საწყობი იმყოფება ცენტრობანკში (პუშკინის ქ. № 8), სადაც ყველა შემომწირველთ მიეცემათ ყველა კვიტანციები.

შემოწირული ფული უნდა შემოტანილ იქნას ვაჭარ-მრეწველთა მთავარი კომიტეტის ფრონტისთვის მიმდინარე ანგარიშზე ცენტრო ბანკში ან ვაჭართა ბანკში.

---

26 მაისისთვის დამხმარე კომიტეტი ფულის შეგროვებაზე უარს ამბობს. ამ დიად დღეს მხოლოდ საჩუქრები მიუვა ფრონტს.

უცხოეთი

ხომხეთი.

ყარსის ამბები. 1 მაისს ბოლშევიკებმა შეეცადნენ ყარსშიაც მოეხდინათ გადატრიალება, მაგრამ ცდა უნაყოფო გამოდგა. ყარსში ადგილები აგიტატორები ჩამოვიდნენ, რომელთაც შეუერთდნენ ადგილობრივი მალაკნები, თათრები, რუსთა ნაციონალური საბჭო. ყველა ეგენი შეეცადნენ ძალზე ჯარში გაეწიათ აგიტაცია. 10 მაისს გამოირკვა, რომ ნაწილი ჯარის-კაცებისა მეამბოხეებს მიემხრო. 11 მაისს „რევოლიუციონურმა კომიტეტმა" წარუდგინა მოთხოვნილება ადმინისტრაციის და მთავრობის დამორჩილებას. გარნიზონის უფროსმა და გუბერნატორმა მიიღეს ბრძანება საბჭოთა სამხედრო და სამოქალაქო კომისრების მეხათელისა და მელიქიანისაგან, უკანასკნელნი მოითხოვდნენ საბჭოთა ძალაუფლების ცნობას. როგორც გარნიზონი, აგრეთვე ადმინისტრაცია არ დაემორჩილა ზემოხსენებულ კომისრებს. 12 მაისს მთავრობის მომხრე ჯარის ნაწილებთან ერთად ყარსის მცხოვრებნი თვით დაესხნენ ბოლშევიკებს და კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ განდევნეს ქალაქიდან. ბოლშევიკებს მოუკლეს 11, ტყვედ წაიყვანეს 7 კაცი. დანარჩენი გაიქცნენ. ქალაქში [illegible] დაწყნარებულია. მეამბოხენი გასამართლებულ იქნებიან „სამხედრო სახალხო ტრიბუნალის" მიერ, რომლის თავმჯდომარეთ არის პარლამენტის წევრი ვაგან ხორენი. გამოირკვა, რომ აჯანყებულ ბოლშევიკებს მიემხრნენ მალაკნებიც. იმ დროს, როდესაც ქალაქში სროლა იყო, მალაკნები დადიოდნენ დროშებით და გაიძახოდნენ „ძირს ხომხეთი! გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა მთავრობას". შეიპყრეს რუსთა ნაციონალური საბჭო, რომელიც ბოლშევიკების ბუდეთ იყო გადაქცეული.

ხომხეთის მდგომარეობა ა. ხატისოვის გადმოცემით სომხეთში არც ერთი კუთხე არ დაუტოვებიათ ბოლშევიკებს, რომ თავიანთი აგიტაცია არ გაეჩაღებინათ, მაგრამ არსად მათმა მუშაობამ ნაყოფი არ გამოიღო. როდესაც ხატისოვი შეეკითხება ალექსანდროპოლის ჯარის კაცებს, თუ რა იყო მიზეზი, რომ მიემხრნენ ბოლშევიკებს,—გამოირკვა, რომ ბოლშევიკები დაჰპირდნენ მათ დღეში 4 გირ. პურს. უფრო ამით, 16 ათასი წითელი არმიელი სდგას ყაზახის მაზრაში და სხვ. საკმარისი იყო ამ ჯარისათვის ახსნა შექმნილ მდგომარეობის, რომ დაუყოვნებლივ გაემგზავრენ ფრონტზე. ალექსანდროპოლში, როგორც გამოირკვა, სამი ჯგუფი მოქმედებდა. 1) ბოლშევიკები სამი—ოთხი კაცი, 2) ოსმალეთის და აზერბაიჯანის მოსყიდული აგენტები, 3) მცირე რიცხოვანი ახალგაზრდობა, რომლებიც ჯარს მოუწოდებდნენ წასულიყვნენ სახლებში. უდავოა, რომ ოსმალეთის აგენტები ღებულობენ მონაწილეობას, მაგ. ყარაქილისაში გადმოსულან ოსმალეთის ოფიცრები, რომ თან წამოუღიათ სამი ფუნტი თეთრი პური და „აჯერებდნენ გლეხებს თურმე, რომ ოსმალეთს თქვენთან კეთილ მეზობლური განწყობილების დამყარება სურს; ამავე დროს ჩეტნიკები გადმოდიან ბაიაზეთის, იგდირის, ნახჭევანის მიმართულებით. ოსმალეთის ერებს სურდათ შინაური უთანხმოება სომხეთისა გამოეყენებინათ თავიანთი მიზნებისათვის. მაგრამ მათი განზრახვები კარგად შეიგნო სომხეთის ხალხმა და აგრე ადვილათ არავის დაუთმობს თავისუფლებას. ყარაბახში ძალა უფლება სომხების ხელშია. ეხლა იმყოფება საზავო მოლაპარაკება აზერბაიჯანთან. ოლთისის, კარაურგანის და იგდირის მიმართულებით ოსმალეთის ჯარები სდგანან, რომელთაც იკავებენ სომხეთის ჯარები.

რუსეთი.

რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. სან-რემოდან კორესპონდენტი გაზ. „ტრიბუნას" ატყობინებს რუსეთთან დამოკიდებულებათ შესახებ საკითხის გარჩევას საფუძვლათ დაედო ლორდ კერზონის შემდეგი მოსაზრება: „თუმცა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია პირდაპირი დამოკიდებულების დაჭერა რუსეთთან, რომელიც ჯერ კიდევ „დე ფაქტოთაც" კი არ არის ცნობილი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, შესაძლებელია დაშვებულ იქნეს, რათა კერძო პირებმა—ექსპორტიორებმა და იმპორტიორებმა დაიჭირონ კავშირი რუსეთთან". ამ წინადადების თაობაზე დებატებში ილაპარაკა ნიტტი. მოწინააღმდეგენი ამის გამოთქვამდნენ, რომ ამ გზით შესაძლებელია ევროპას ბოლშევიკური პროპაგანდა მოედოსო. ნიტტი უპასუხებდა, რომ არ უნდა მიეცეს საბჭოთა რუსეთს „ოქროს ხიდის" ხასიათი, თორემ ეს უფრო საშიში იქნება ევროპის მშვიდობიანობისთვისო. მისი აზრით, ევროპამ უნდა გაიცნოს რუსეთის ნამდვილ მდგომარეობას, რომ შემდეგში არავითარ საშიშროებას რუსეთის მხრივ ადგილი არ ექნება. ბოლოს გამარჯვებული ისევ ნიტტი დარჩა და კონფერენციამაც თავის რეზოლიუციას საფუძვლათ ლორდ კერზონის წინადადება დაუდო.

დღეს დილის 10 საათიდან სასახლეში მიიღებენ ახალგაზრდობისაგან დამზადებულ ჩანთებს საჩუქრებითურთ ფრონტზე გადასაგზავნათ.

გმირთა ყიჟინა.

დღისით და ღამით, ქვეყნის ღრიანცელში და სიწყნარეში აღმოსავლეთით განუწყვეტლივ გვესმის [illegible] ქუხილი და ზედ ღართული გმირთა ბრძოლის ყიჟინა.

გვესმის, გვესმის ყურით, გულით, მთელი ჩვენი არსებით.

და გონების თვალით აშკარათ და ნათლად ვხედავთ ბრძოლის ველს, ხელ-ჩართულ ომს; ვხედავთ ჩვენს გალომებულ მებრძოლებს, ბრძოლის, კვამლში გახვეულებს,—თავგანწირვით რომ იცავენ, მხოლოდ იცავენ თავის საყვარელ კერას, თავის სამშობლო-საქართველოს, თავისუფალ, დამოუკიდებელს ფიქრის ცის ნაპირი რომ გადახურულა; ვხედავთ გადაფრენილ გვარდიას, გულ-მკერდით რომ იცავს მშობელ მიწა-წყალს, მის დაკავებულ ხელში გადასულ მამულს, მამა-პაპათა სალოცავებს, მათ საშვილიშვილო აწმყოს... ვხედავთ თავ-განწირულ ჯარს...

დიახ, ვხედავთ და მთელი ჩვენი არსებით განვიცდით ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომლის ყიჟინაშიც ცოცხლდება წარსული და აწმყო; ცოცხლდება და ფეხზე დგება გაერთიანებული საქართველო, რომლის სულიც თავს დასტრიალებს და ეძლევა ჩვენს გმირებს, ჩვენს მარჯვენებს...

დიახ, ეს ამ დიად განცდით ძრწის საქართველოს გული და გონება მთელი მისი ცხოვრება [illegible] ნაირთა ფერეს, [illegible] ცნობს და გაფოლადებული გამარჯვებას ჩვენი გამარჯვებისაკენ მიისწრაფის...

დღეს აღარ არის ფრონტი და ზურგი; დღეს ყველგან მხოლოდ ფრონტია, რომლიდანაც ფეხზე დამდგარი სდგება საყვარელად შეკრული მებრძოლი დემოკრატიული საქართველო.

და აი ამ ბრძოლის კვამლში და ყიჟინაში, ვით განწმენდილ ქურაში იწრთობა მომავალი გამარჯვებული ნეტარი საქართველო...

ყველამ გვწამს, რომ დღეს არ არის ქართველი, რომლის გული ბრძოლის ცეცხლით არ იყოს ანთებული, რომლის სული არ იყოს აღფრთოვანებული, რომლის ძარღვებში არ სჩქეფდეს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი გმირული სისხლი...

ყველასა გვწამს მთელი არსებით, რომ ბრძოლის ველზე არ დაეცემა ის ერი, რომლის სულშიაც საუკუნეთა წიაღიდან გადმოიძახის და რომლის მკერდსაც მთელი თავისი არსებით იმეორებს ერის ბულბული, [illegible] „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი"...

დიახ, რომ სჯობს; ქვეყნის გამანადგურებელ ყველა ყორნების საძიძგნათ საქართველო ვეღარ გადიქცევა და აღარც გადიქცევა; ის ან მოკვდება, მთლათ გაწყდება და უკანასკნელს სამარცხვინო მონობის უღელს კი აღარ დაიდგამს...

დიახ, თავისუფლებისა ნეტარ სხივებით გაჯერებული და დამოუკიდებლობის ცისფერ ზმანებით მონათლული საქართველო ან მთლათ გასწყდება, ან არა და გაიმარჯვებს...

დიახ, გაიმარჯვებს [illegible] გამარჯვების მოტრფიალე მშრომელთა საქართველო: და [illegible] მიმდინარე სამკვდრო-სიცოცხლო ომში [illegible] განწირული საქართველოს გული—დედა თფილისი—კვლავ იხილავს გამარჯვებული დროშებით აფრიალებულ თავის გულს და სულს—სახელოვან გვარდიას, სახელოვან ჯარს...

და დღეს, რომ გმირთა ყიჟინა ისმის ბრძოლის ველიდან, ხვალ მთელ საქართველოს, მთელ ქვეყანას მოედება გამარჯვებულთა ყიჟინა...

გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს!..

გაუმარჯოს მის ძლევამოსილ გვარდიას და ჯარს!

გაუმარჯოს ერის სამარადისო ცხოვრების დამფუძნებელ კრებას!..

გაუმარჯოს ღირსეულ დემოკრატიის ღირსეულ ხელმძღვანელ მთავრობას!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას, ერთა სოლიდარობას!..

გაუმარჯოს სოციალიზმს!..

ს. პირთენაშვილი.

შაქრო საფაროვი

(35 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო)

დღეს, ქართულ კლუბის დარბაზში მსახიობ შაქრო საფაროვის 35 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება საზეიმო საღამო. შაქრო საფაროვი სცენაზე გამოვიდა 1881 წელს და მას შემდეგ დაუღალავათ ეწევა მძიმე ჰაპანს ქართულ მსახიობისას. ქართული თეატრი შაქრო საფაროვმა შეიყვარა თავის დროს, ქართული თეატრის დამამშვენებელის მარიამ საფაროვის და ვასო აბაშიძის ზე გავლენით. ძნელი იყო ხელოვანი ქართულ თეატრში შაქრო საფაროვის. მისი მოღვაწეობა ქართულ სცენაზე არ იყო ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი. საზოგადოების კერძოთ ის არასოდეს არ ყოფილა, დითირამბები, ტაში და ოვაციები მას არ შეხვედრია, მაგრამ ის მოკრძალებული საქმე, რომელსაც იგი ასრულებდა იყო მეტად ნაყოფიერი და თავის შინაგან ღირსებით მრავალ მნიშვნელოვანი. შაქრო საფაროვი კომიკური ხასიათის როლებს ასრულებს, ზოგჯერ მთავარს კარგადაც ანსახიერებს. შაქროს მოღვაწეობა მარტო ამითი არ განისაზღვრება, აქვს მას ბევრი ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესები, ოპერეტები. იყო რედაქტორი ქართულ გაზეთ „ხალხის" და ამ რედაქტორობის წყალობით [illegible] ციხეც იგემა.

შაქრო საფაროვს კარგად იცნობენ პროვინციის მოღვაწეები. ყოველთვის დაუზარებელი შაქრო დიდ დახმარებას უწევდა პროვინციულ ახალგაზრდა სცენის მოყვარეებს, როგორც საქმით, აგრეთვე რჩევით. ქართველი საზოგადოება მოვალეა პატივი სცეს მსახიობს და წარმოდგენაზე დასწრებით ნივთიერადაც დაეხმაროს ამ სასარგებლო მუშაკს, რომლებიც ასე საჭირონი არიან თეატრისათვის. საზეიმო პროგრამა კარგად არის შედგენილი. ზოგი სცენის სახელოვანი მსახიობების მიერ წარმოდგენილ იქნება გაბრ. სუნდუკიანცის „პეპო" და მხიარული ოპერეტა „მეჯლისის ოფიციანტი". ეს ნაწილი ოპერეტაში შაქრო ძველი კარგად ასრულებს თავის როლს, რაც [illegible] ყოველთვის აღნიშნული ჰქონია.

X.

აკ. ჩხენკელი და გ. მახარაძე ბორჩალოს მაზრაში

14 მაისს დამფუძნებელი კრების წევრები ამხ. აკ. ჩხენკელი და გ. მახარაძე გაემგზავრნენ ბორჩალოს მაზრაში [illegible]ში მუსულმანთა ყრილობაზე დასასწრებად. დეპუტატებს შეხვდა „მუსავატის" ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ა. შარიფოვი. მაზრის მცხოვრებლებმა დიდის ზეიმითა და აღტაცებით მიიღეს ძვირფასი სტუმრები.

ყრილობაზე 150-მდე დეპუტატი გამოცხადებულიყო სხვა და სხვა მუსულმანური სოფლებიდან. ყრილობა დეპუტატებს ოვაციით შეხვდა. მოკლე სიტყვაში ა. ჩხენკელმა მადლობა გადაუხადა ყრილობას და შეეხო მიმდინარე მომენტს. გ. მახარაძე მიესალმა ყრილობას დამფუძნებელი კრებისა და თბილ. მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელით. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ყრილობის თავმჯდომარემ ა. შარიფოვმა.

ყრილობის გათავების შემდეგ სტუმრები მიიწვიეს ბანკეტზე, რომელიც საღამომდე გაგრძელდა.

მეორე დღეს დილით ა. ჩხენკელმა და გ. მახარაძემ დაათვალიერეს ნიმუშური სკოლები, დაესწრნენ გაკვეთილებზე. შემდეგ დაათვალიერეს სხვადასხვა დაწესებულებები, სადაც დაწყებითი სკოლების მასწავლებლები აცნობდნენ მათ საქმის მდგომარეობას.

12 საათს დეპუტატები თბილისისაკენ გაემგზავრნენ. გზაზე აუარებელი ხალხი შეეგებათ. ა. ჩხენკელისა და მახარაძის მოწოდებაზე—დაეხმარონ მთავრობას სამშობლოს დაცვის საქმეში,—მცხოვრებნი უპასუხებდნენ, რომ ისინი მთელის არსებით მზად არიან დაიცვან ძვირფასი სამშობლო მუხანათ მტრების შემოსევისაგან. ხალხი სთხოვს დეპუტატებს გადასცენ მთავრობას, რომ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი დიდათ შეწუხებულნი დარჩებიან, თუ მთავრობა მათ ერთეულებში ჯარებს შეიტანს. გამოსალმებისას დეპუტატებს სიტყვით მიმართა შარიფოვმა, რომელმაც ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა მათ. საპასუხო სიტყვაში ჩხენკელმა თავისი კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი შეგნებულათ უყურებენ მიმდინარე მომენტის მნიშვნელობას და იმედოვნებს, რომ ბორჩალოს ხალხი მუდამ მხარში ედგება საქართველოს დემოკრატიას.

დამფუძნებელი კრების წევრები პროვინციაში

დ. ჩხარში 16 მაისს შესდგა ძალიან ხალხმრავალი მიტინგი, რომელზედაც მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთეს დამფ. კრების წევრებმა გ. კილაძემ და გ. ტატიშვილმა. გამოტანილ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც მიტინგი აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას მუხანათ მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. იმავე დეპუტატებმა გააკეთეს მოხსენება 18 მაისს თერჯოლის თემში და 20 მაისს ძირულის თემში შემდგარ მიტინგებზე, სადაც ასეთივე რეზოლუციები იქნა გამოტანილი.

ხონი. ქალაქში შესდგა მიტინგი, 18 მაისს, რომელზედაც დამფ. კრების წევრის [illegible] მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინეს მადლიან ძალ-ღონით დაიცვან სამშობლო.

ბაღდადის საზოგადოების საზოგადო კრებაზე 15 მაისს მოხსენება გააკეთა დამფ. კრ. წევრმა გრ. ცინცაძემ, რის შემდეგ კრებამ მიიღო დადგენილება—დაიცვას თავისი მკერდით დემოკრატიული რესპუბლიკა. ასეთივე დადგენილება იქნა გამოტანილი წითელხევის საზოგადოებაში.

ახალციხე 18 მაისს დამფუძნებელი კრების წევრს თ. ქიქოძეს ჰქონდა ბაასი მთელი ახალციხის გარნიზონის ჯარისკაცებთან. ჯარისკაცებთან ერთად იყვნენ აგრეთვე მობილიზაციით ყველა ახალ გაწვეულები. მას დაესწრნენ აგრეთვე ხელმძღვანელები: წულუკიძე, გამაკაძე და მრავალი ოფიცრობა, ყველანი აღტაცებით შეეგებნენ დამფუძნებელი კრების წევრს და აღუთქვეს თავის განწირვა სამშობლოსა და დემოკრატიის ძვირფას დღეობისათვის.

დიდი ჯიხაიში. 16 მაისს, ჯიხაიშის სტუმრად დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გრ. გიორგაძე დილის 11 ს., გაიხსნა ყრილობა, რომელსაც დაესწრო დიდი ძალი საზოგადოებისა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ათ. შენგელია. სიტყვას იღებს ამხ. გრ. გიორგაძე და აკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე. ის დაწვრილებით შეეხო საქართველოს და აზერბეიჯანის შორის მომხდარ ომის მიზეზებს, დაახასიათა აზერბეიჯანის ხალხის კულტურული და ეკონომიური ჩამორჩენილობა და სხ. დაბოლოს მომხსენებელი შეეხო ბათუმის საკითხს, რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებდა ხალხს.

ამის შემდეგ იყო სხვადასხვა ხასიათის შეკითხვები, რომელთა შესახებ ყრილობამ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი. 2 საათზე კრება გათავდა და დიდად კმაყოფილი ხალხი დაიშალა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „დიდი ჯიხაიშის საზოგადო ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება დამფ. კრების წევრის გ. გიორგაძისა თანამედროვე მომენტზე, სალამს უძღვნის ხალხის ჯანსაღ ორგანოს დამფუძ. კრებას და მის მთავრობას. ამ საშინელ დროს, როცა მტრის ძალები ყოველ მხრივ უტევენ რესპუბლიკის საზღვრებს, დიდი ჯიხაიშის მცხოვრებნი მთელი თავის არსებით ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის ხელშეუხებლობის, დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვის საქმეში. ხვდებით აღტაცებით მთავრობის მიერ მიღებულ თავდაცვის ზომებს". საღამოს 3 საათზე, მოხსენება გააკეთა პარტიულ კრებაზე. შეეხო ინტერნაციონალს, აგრარულ, მუნიციპალურ და სხვა საკითხებს.

ნოდე.

დ. ჭრებალო. 9 მაისს, გვეწვია დამფუძნებელი კრების წევრი იგ. გომართელი. აქ თავი მოიყარა [illegible], ცხენის, ხვანჭკარის და ჭყვიშის საზოგადოებების მცხოვრებლებმა. კრებას თავმჯდომარეობდა დამფ. კრების წევრი თ. ჭელიძე.

მართლაც და იშვიათად ისეთი მარტივი, მდაბიო ენით ინტელიგენტმა ისაუბროს, როგორც ეს გომართელს სჩვევია;

მომხსენებელი შეეხო ქართველთა დამოუკიდებლად ცხოვრებას და მუშათა ხალხს მოსალოდნელ სიძნელეებზე. მრავალრიცხოვანმა კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: მხარში უდგება მის მიერ არჩეულ მთავრობას რევოლუციის მონაპოვარის და საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში.

დეპუტატს ხალხმა დაუსვა მთავრობასთან მოლაპარაკება ტყის საკითხის და სხ. ადგილობრივ კითხვების შესახებ. საღამოს იგ. გომართელმა გაშინჯა [illegible], რის შემდეგ დარჩენილ ხალხს, [illegible] დემოკრატიულ კლუბში, ეწვია და საერთოდ ბოლშევიკური გამოსვლებზე ყურადღება; დაახასიათა რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა და ბოლოს, შეეხო საქართველოს მთავრობის მიერ არჩეულ გზას.

ქვედა ჭყვიშელი.

ცხინვალი. 17 მაისს მოისმინა რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე დამფუძნებელი კრების წევრის ვ. [illegible], ცხინვალის რაიონის სახალხო გვარდია და დაბა ცხინვალის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი ყრილობა აწონებს მთავრობის ნაბიჯებს გადადგმულს საქართველოს სუვერენობის და მისი დემოკრატიის სისხლით მოპოვებულ თავისუფლების დასაცავად. ჩვენ გვრწამს, რომ რუსეთის დემოკრატია მალე შეიგნებს ჩვენს კანონიერ სურვილებს, ისიც დადგება ამ გზაზე და გამოგვიწვდის ძმურად ხელს, როგორც თანასწორი თანასწორს, რაზედაც საქართველოს დემოკრატია უკვე მზად არის. დამფუძნებელი კრება არის სრული გამომხატველი საქართველოს დემოკრატიის სურვილებისა. მის მიერ არჩეული მთავრობა დემოკრატიის [illegible] მეთაურობით სწორად უძღვება დემოკრატიის საქმეებს. სახალხო გვარდია და რეგულიარული ჯარი დემოკრატიის ნამდვილი შვილია, მის ფხიზელ ძალას წარმოადგენს. თავისუფალი წევრის სისხლი მის მიერ დაღვრილი წმინდათა წმინდაა. ჩვენ მასთანა ვართ მუდამ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, გაუმარჯოს გვარდიას და ჯარს.

ყრილობის მინდობილობით, მისი თავმჯდომარე ა. გიგინეიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ბორჩალოს მაზრის ერობის თავმჯდომარის თანაშემწემ მამედ-აჯი ოღლიმ მაზრის მუსულმანების დავალებით შემდეგი აუწყა შინაგან საქმეთა მინისტრს:

დავალებით მთელი ბორჩალოს მაზრის მუსულმანებისა, უღრმეს მადლობას ვუცხადებ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯართა წინამძღოლთა და ჯარს, ასეთი განსაკუთრებულ წესიერების დაცვისათვის ბორჩალოს მაზრაში, რაც იშვიათია ომიანობის დროს და აღფრთოვანებით ვესაუბრებით წმინდა სოლიდარობას ქართველებისა ჩვენდამი, რაც დაგვემკვიდრა აზერბეჯანთან ომის დროს. აგრეთვე მადლობას ვუცხადებთ შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელმაც დაგვიარსა სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები, სკოლები, საავადმყოფოები და კოოპერატივები, ჩვენ, მუსულმანები მოხსენებული მაზრისა ყველგვარი საქმით დაუმტკიცებთ ერთგულებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართველობას. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ს.-დ. პარტიაში

მარტვილი. 14 მაისს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება. დაესწრო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ამხ. ალ. ლომთათიძე და დამფუძნებელი კრების წევრი ნ. იმნაიშვილი. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ამხ. ვიქ. ღლონტი. განსარჩევი იყო: 1) მოხსენება ს. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ და მომენტზე; 2) მოხსენება დამფუძნებელი კრების სოც.-დემ. ფრაქციის მუშაობის შესახებ; 3) მომავალი პარტიული ყრილობისათვის დელეგაციის არჩევა; 4) კოლექტივიდან მოხსენება და ანგარიშების გაცნობა; 5) იაჩეიკური სისტემის შემოღება; 6) ახალი კომიტეტის არჩევა.

1) ს. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობაზე და მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ლომთათიძე.

კრებამ მოისმინა რა ამხ. ალ. ლომთათიძის მოხსენება, დაადგინა: მოწონებულ იქნას მთელი პოლიტიკური ხაზი ცენტრალური კომიტეტისა—დემოკრატიული გზით სოციალიზმისაკენ. კრება აღუთქვამს ცენტრალურ კომიტეტს ერთსულოვნად მხარის დაჭერას მომავალშიაც ამ გზით სვლაში; 2) დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის მოღვაწეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. იმნაიშვილი. მოისმინა რა კრებამ ამხ. ნ. იმნაიშვილის მოხსენება დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის მოღვაწეობის შესახებ, სავსებით იზიარებს და იწონებს ფრაქციის მოღვაწეობას და აღუთქვამს მხარში ამოდგომას და ადგილობრივ ცნობების მიწოდებით მისი მუშაობის შემსუბუქებას; 3) არჩეულ იქნა დელეგატები მომავალ პარტიულ ყრილობისათვის ამხ. ვიქ. ღლონტი და ამხანაგი კ. [illegible]; 4) კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. შახნაზაროვი. მან აღნიშნა, რომ კოლექტივის უმთავრესი მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რომ არ ყოფილიყო გამოსვლები ბოლშევიკური და კონტრ-რევოლუციონური ხასიათის. მიუხედავათ იმისა, რომ ბორჯომის რაიონში არიან მრავალნი პროვოკატორები, ჩვენმა ორგანიზაციებმა დროზე ალაგმა ისინი, ძირშივე ჩაჰკლა მათი ბოროტი განზრახვები, აგრეთვე მიექცა ყურადღება ორგანიზაციების მოწყობას რაიონში, დაარსა ბაკურიანში, წაღვერში და ახალდაბაში ქვე-კოლექტივები და ეს ორგანიზაციები აკავშირებენ მთელ ხალხს, თავიანთ დროშის ქვეშ აყენებენ მთელ მიწის და ხის მუშებს. დანარჩენი კითხვები გადაიდო 23 მაისისათვის.

კ. დანელაძე.

ს. საგარეჯო. 2 მაისს სასწრაფოდ იქნა მოწვეული ადგილობრივ სოც.-დემ. ორგანიზაციის კრება. მიუხედავათ იმისა, რომ კრებას დაესწრო მცირე ნაწილი ორგანიზაციის წევრებისა, მაინც იქნა აღიარებული კანონიერათ, რადგან შექმნილი მდგომარეობის გამო ორგანიზაციის უნდა დაეარსებინა თავდაცვის კომიტეტი. ხანგრძლივი კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იქნა არჩეული კომიტეტი ხუთი კაცისაგან, რომელშიაც შევიდნენ: ვ. ქაიხოსრაშვილი, ვ. კანჯარაშვილი, ი. [illegible], ვ. ჯაფარიძე, დ. [illegible]. 3 მაისს მოხდა თავდაცვის კომიტეტის პირველი კრება. კომიტეტის თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ვ. კანჯარაშვილი, მდივნათ ვ. ჯაფარიძე. კომიტეტმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. იქნას დაარსებული კარანტინი, უცხო პირთა ვინაობის შემამოწმებელი პუნქტი,—მთელი თავისი ძალ-ღონით დაეხმაროს ადგილობრივ მილიციას მობილიზაციის საქმეში და სხვა.

მარქსისტი.

მუშათა შორის

ავჭალა. 18 მაისს რკინის გზის მუშებისა წყალსადენის, შუშის ქარხნის და ავჭალის საზოგადოების მცხოვრებთათვის შემდგარმა მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის ს. [illegible] მომენტზე და გაითვალისწინა რა ის საფრთხე რომელიც მოელის ქართველ დემოკრატიას და რევოლუციის მონაპოვარს თავისუფლებას ჩვენზე თავდასხმის გამო, ერთხმად ადგენს: დამფუძნებელ კრებას, მის მიერ არჩეულ რევოლუციონურ მთავრობას და ახლად შექმნილ თავდაცვის საბჭოს, რომელსაც მეთაურობს ბრძოლაში გამოცდილი დემოკრატიის მცხოვანი შვილი ნ. ჟორდანია, პირველ დაძახებისთანავე იარაღით ხელში გავალთ სამშობლოს და ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლების დასაცველად. სალამი ჯარსა და გვარდიას. გაუმარჯოს რევოლუციონურ თავდაცვას,

ა. [illegible].

პროვინცია

ს. ხარითუბანი (გარე კახეთი). 15 მაისს, საღამოს 4 ს. სოფელ ხარითუბანში მოვარდა ცეცხლი [illegible] საბძელს. შეიკრიბა მთელი სოფლის გლეხობა ცეცხლის ჩასაქრობათ. 10 წუთის შემდეგ ჩრდილოეთით ამოვარდა ქარი, რომელმაც გადიტანა ცეცხლი იქვე დაახლოვებულ მეზობლების საბძლებში 1) ალექსი [illegible]სა, 2) მოსე [illegible]სა და 3) იაგორ [illegible] ოჯახებისა. თუმცა გლეხები ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას, მაგრამ გაძლიერებულ ცეცხლს ვერაფერი ვერ მოუვლია. მოვიდა ადგილობრივი მილიციის უფროსი ზაქარიაძე გამოსაძიებლად და აღმოსაჩენად დამნაშავისა, მაგრამ საბძლების პატრონებმა უპასუხეს: არ ვიცით რა არის მიზეზი და საიდან გაჩნდა ცეცხლი. ზარალი უდრის 80,000 მანეთს.

ს. რუისი (გორის მაზრა). მიღებული ცნობებით, 18 მაისს ტყეში მოულოდნელად ყაჩაღებთან შეტაკების დროს (ყაჩაღები ყოფილან ჩასაფრებული, რიცხვით 8 კაცი) მოუკლავთ მილიციონერები ქარელის რაიონისა: მათე [illegible], ქასაშვილი, ბესარიონ ლომიძე და სპირიდონ [illegible], ტყვეთ არიან წაყვანილნი: დიანოზ კაზაშვილი და ვასილი [illegible], ყაჩაღებს თან წაუღიათ ამათი იარაღები და წესისამებრ სულყველას ცხენები. შეტაკება მომხდარა სოფელ ზღუდერსა და ყინწვისის შუა.

როგორც მტკიცდება, ყაჩაღები ერთ-ერთ მახლობელ სოფელში პურის ჭამაზე ყოფილან და მზვერავს უცნობებია მილიციონერების მოახლოვება.

ამ შეტაკების დროს დაჭრილ ლომიძის მაინც კიდევ უსვრია და მოუკლავს ყაჩაღთა მეთაური ნიკო ბარბაძე.

ამაზე ერთი კვირის წინად ამავე ყაჩაღებმა გაიტაცეს, სარკის წმინდა გიორგის მლოცველების თვალ წინ, ამავე რაიონის „სომეხ" ჩხიკვაძე და წამებით მოჰკლეს. დახოცილი მილიციონერები და ყაჩაღიც გვარდიელების საშუალებით იქნენ გამოტანილნი ტყიდან.

ხშირია გლეხების ძარცვაც. დაშინებული ხალხი და ტყიდან შეშის გამოსატანად ვერ მიდის და თუ ვინმე გაბედა, ემშვიდობება ცოლ-შვილს და ჰგონია, ცოცხალი ვეღარ დაბრუნდება, მაგრამ მაინც მიდის ტყეში, რადგან შეშის გარეშე გლეხი ვერ ძლებს.

ამ უკანასკნელმა ყაჩაღების საზიზღარმა თავდასხმამ ხალხი რეტზედ ჩააგდო და სულყველას მხოლოდ თვალით უცქერის, ყველასგან გაიგონებთ ერთსა და იმავეს: მოგვეცით იარაღი და ჩვენ თვითონ მოვსპობთ ყაჩაღებს.

საჭიროა მთავრობამ გადასდგას ყაჩაღების წინააღმდეგ მტკიცე და გადაჭრილი ნაბიჯი, რომელ სოფლებსაც შიგ შუაგულ ტყეში თავს აფარებენ ყაჩაღები.

თუ საჭიროა შეიქნება, უნდა აიყაროს ის [illegible] ოჯახები და ტყის [illegible], ბარად დაასახლოს, რომელ სოფლებზედაც დამტკიცდება, რომ თავს აფარებენ ყაჩაღებს.

ამავე დღეს ქარელის ბორანიდან შუა მტკვარში გადავარდა და თავი დაიხრჩო [illegible] ჩხიკვაძის ქალმა. მიზეზი ძალად დანიშვნა ყოფილა.

რუისელი.

ს. მანძა 14 მაისს მანძის რაიონის მცხოვრებთა მრავალ-რიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება მომენტის შესახებ დამფუძნებელ კრების წევრების ი. [illegible] და ბ. [illegible], სიამოვნებით ეგებება საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის შეკრულ ზავს; კრება აღნიშნავს, რომ ეს ზავი შედეგია ჩვენი დემოკრატიის მთლიანობისა, ერთსულოვნებისა და პოლიტიკური გამჭრიახობისა; სდგას რა კრება ამ მთლიანობის ნიადაგზე, კრება გვერდში უდგას დამფუძნებელ კრებას, მის არჩეულ მთავრობას და მისი ხელმძღვანელობით კრება მზადაა დაიცვას ჩვენი ერის სუვერენული რევოლუციით მონაპოვარი დემოკრატიული უფლებები ყოველ გარეშე თავდასხმისაგან, ვინც კი გაბედავს ამ ჩვენს სასიცოცხლო უფლებების შელახვას.

კრების თავმჯდომარე ან. გაბუნია.

ხაშური. გამოცხადდა თუ არა სახალხო გვარდიის მობილიზაცია გორის მაზრაში, ჩვენი—გმირი გვარდიელებიც სასწრაფოდ დაიძრნენ—თავთავიანთ შტაბებისაკენ და არც ერთი მათგანი, თუ კი საპატიო მიზეზი არ ჰქონდა, სახლში არ დარჩენილა.

9 მაისს, ქალაქ ხაშურს არაჩვეულებრივი გამოცოცხლება დაეტყო. დილიდანვე მაზრის [illegible], დიდი თუ პატარა ყველა სადგურისკენ მიეშურებოდა საყვარელი გმირების გასაცილებლად და ყველას სახეზე, გვარდიელი იყო ის თუ მოქალაქე, ღიმილი და იმედი იხატებოდა.

9 მაისს ხაშურის საზოგადოებამ გააცილა თავისი საყვარელი გვარდია, ის გვარდია, რომელიც ყოველთვის თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგა და რომელმაც არა ერთხელ ისახელა თავი ჩვენი რესპუბლიკის და დამოუკიდებლობის მტრებთან ბრძოლის დროს.

ვუსურვოთ ამ გვარდიას გზა გამარჯვებისა და გამარჯვებული სახლებში დაბრუნება.

ნიკო გურული.

თეატრი და ხელოვნება

მოწოდება.

ქართველ მსახიობთა კავშირთან დაარსდა სათეატრო მუზეუმი, სადაც განზრახულია შეგროვილ იქნას ძველი ქართული წარმოდგენა-სანახაობების აფიშები, ძველი ხელთნაწერი პიესები, დამსახურებულ მსახიობთა ძველი სურათები, მათი [illegible] საჩუქრები, რომელნიც სხვადასხვა ყოველგვარ საჭიროებას და ღირებულებას მოკლებულნი არიან და საერთოდ ყველა თვალსაჩინო ნივთები და ნაწერები, რომელნიც ცოცხლად თუ მკვდრათ შეეხებიან ქართ. თეატრის წარსულს. ამ გვარად მსახიობთა კავშირის შეძლება მიეცემა მოაწყოს სათეატრო მუზეუმი გალერეა, სადაც დაინტერესებულნი პირნი შესძლებენ ჩვენი თეატრის წარსულის გაცნობას. ამიტომ მივუწოდებთ ყველას მოგვაწოდონ ასეთი გამოსადეგი მასალები ქართ. მსახიობთა კავშირის ბინაზე (სასახლის ქ. № 5), რომელიც დიდის მადლობით იქნება მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარე ალ. იმედაშვილი.

მდივანი ვანო [illegible].

წერ. რედაქციის მიმართ

ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი—ქართლის მეორე ათასეულის გვარდიელების დავალებით უღრმეს მადლობას უძღვნის ხაშურის ქველმოქმედთა საზოგადოებას [illegible] საჩუქრებისათვის, რომელიც გადასცა გვარდიას 9 მაისს ხაშურში ფრონტზე გამგზავრების დროს.

შტაბის თავმჯდომარე ნიკო ხახარულიძე.

ნიღოზითის თემმა შეკრიბა შემოწირულება გვარდიელების სასარგებლოთ შემდეგი სოფლებიდან: 1) ს. [illegible]დან —35 ფუთი სიმინდი და 1 ფ. 14 გირ. ლობიო, 2) ჯაბანიდან—2 ფუთი 20 გ. სიმინდი, 3) [illegible]დან—1 ფუთი სიმინდი, სულ 40 ფუთი. ფულად სოფ. ჯაბანიდან—100 მან. 50 კ., ს. [illegible]დან—4653 მან., სოფ. ნიღოზითიდან—6936 მან., ბაზრიდან—445 მან. შემოწირულება გადაეგზავნა დანიშნულებისამებრ.

საბჭოს წევრი ს. ნიკოლაიშვილი.

განცხადებანი

[illegible]

მე-7-დე ხაზი [illegible] ქ. № 1. იყიდება სამ სართულიანი

სახლი

რვა ოთახით თავის სარდაფით.

(1670—1—1)

რბილი საპონი

რომელიც იხმარება ქეციან საქონლის წამლათ, დასაბანათ ცხვრისა, მატყლის გასარეცხათ და აგრეთვე [illegible]

sapo viridis

იყიდება: რუსთაველის პრ. № 8. მაღაზია ან ბინა [illegible].

(1645—3—2)

ექიმი

ნ. მ. [illegible]

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10 საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ № 4.

(გ. 25—1)

ქალი მ. [illegible]

[illegible] ს. ნიკოლოზის ქ. № 33.

(1537 თ.)

ექიმი

ნ. ა. [illegible]

[illegible] („606" და „914") [illegible] მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ს. 6 ს. [illegible]

(1555—თ.)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული სნეულებანი [illegible] მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. [illegible] ქ. № 3 ბინა 3, ტელეფონი 12—46.

(1518—თ.)

ექიმი

ნ. დ. [illegible]

[illegible] ავადმყოფებს [illegible] 1—3 და საღ. 4—5 [illegible] ქუჩა № 22 [illegible]

(1325—25—2)

ექიმი ა. დ. კაკაბაძე

[illegible] „606" და „914" [illegible] დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, [illegible] ტელ. 14—23.

(1248 25—1)

[illegible]

ვ. ა. [illegible]

[illegible] № 5, [illegible] 11—1 ს., საღამოს 5—8 საათამდე.

(1337—25—1)

[illegible]

ექიმი აბაშიძე

[illegible] „914" [illegible] „606" [illegible]

(დგ. 336).

[illegible]

ა. თ. [illegible]

[illegible] 10—2 [illegible] 4—6 [illegible] № 18. [illegible]

(25—5)

ექიმი

[illegible]

[illegible] 4—6 [illegible] № 11, [illegible]

(1355 25—5)

ექიმი [illegible]

[illegible] („606" და „914") [illegible] 8—11 [illegible] 5—8 [illegible] 4—5 [illegible] ქუჩა № 33.

(1308 25—3)

[illegible]

[illegible]

[illegible] № 33, [illegible] 7—82, [illegible] 9—12 [illegible] 6—8 [illegible]

(1360 25—1)

250 მანეთად

დიდი ხნის გამოცდილი [illegible] მანქანაზე [illegible] „ზინგერ" [illegible] [illegible] დილის 11 საათიდან [illegible] 7 საათამდე. [illegible] № 5 [illegible]

(1653—1—1)